

საქართველო 2016

ალკოჰოლის, თაბაქოსა და სხვა ნარკოტიკის
მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევა

ESPAD

წინამდებარე ანგარიში განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. დოკუმენტის შინაარსზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და არანაირ შემთხვევაში არ უნდა იქნეს განხილული როგორც ევროკავშირის პოზიცია.



emcdda.europa.eu

საქართველო ქვეყნის ანგარიში



დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

2016

წინასიტყვაობა

ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი საერთაშორისო კვლევაა, რომელიც ევროპის 35-ზე მეტ ქვეყანაში ტარდება. 2015 წელს პროექტს შეუერთდა საქართველოც. რაც ნიშნავს, რომ ჩვენ გავხდით ESPAD (the European School Survey Project on Alcohol and Other Drugs) ქვეყანა.

პროექტი განახორციელა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

კვლევა განხორციელდა და წინამდებარე ანგარიში მომზადდა ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) ფინანსური მხარდაჭერით. ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევის (ESPAD - European School Survey Project on Alcohol and Other Drugs) ჯგუფმა უზრუნველყო ტექნიკური დახმარება კვლევის მეთოდის, კითხვარის დამტკიცების, ტრენინგის, მონაცემთა დამუშავებისა და ანგარიშის მომზადების თვალსაზრისით.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მადლიერებას გამოხატავს ევროპის ნარკოტიკებისა და ნარკოდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგის ცენტრის და პირადად ქალბატონ სანდრინ სლეიმანის მიმართ; ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკის მოხმარების შემსწავლელი ევროპის სასკოლო კვლევის მთელი ჯგუფის მიმართ, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა კვლევის ჩატარება.

ცენტრი განსაკუთრებულ მადლობას უხდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და პირადად მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ლია გიგაურს პროექტის მხარდაჭერისა და პირადი ჩართულობისათვის.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი გულწრფელ მადლიერებას გამოხატავს კვლევის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფის მიმართ კვლევის მიმდინარეობისას გაწეული ექსპერტული კონსულტაციისა და ტექნიკური დახმარებისათვის.

განსაკუთრებული მადლობას ვუხდით დკსჯეც-ის ინტერვიუერებსა და მონაცემთა შეყვანის გუნდს, რომელმაც წარმატებით განახორციელა კვლევის სავსე სამუშაოები და მოაგროვა მონაცემები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

და ბოლოს, უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ ყველა სკოლის მმართველობის, პედაგოგთა და იმ მოსწავლეთა მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.

შინაარსი

წინასიტყვაობა და კვლევის მეთოდოლოგია	11
ESPAD-ის 2015 წლის ზოგადი მიზანი საქართველოში	11
კვლევის მეთოდოლოგია	11
მოსწავლეები, შერჩევის ჩარჩო და მოცვა	11
საველე სამუშაოები	12
მოსწავლეთა კითხვარი	12
მონაცემთა დამუშავება	12
რეზიუმე	13
შედეგები	16
თამბაქო	16
თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში	16
თამბაქოს მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში	16
თამბაქოს მოხმარების დაწყების ასაკი	17
ელექტრონული სიგარეტი და ჩილიმი	17
ალკოჰოლი	19
ალკოჰოლური სასმელების აღქმული ხელმისაწვდომობა	19
ალკოჰოლის მიღება სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში	19
ალკოჰოლის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში	20
არამსმელები	22
ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი დღე	22
ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური მოხმარება	24
თრობა	25
თრობის დონე ალკოჰოლის უკანასკნელი მიღების დღეს	25
ინტოქსიკაცია სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში	25
სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების მიღებისა და თრობის დაწყების ასაკი	26
ალკოჰოლური სასმელების შექმნა	26
ალკოჰოლური სასმელების გარეთ მიღება	26
ალკოჰოლის უკანასკნელად მიღების ადგილი	27
უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პრობლემები	28
უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სხვის მიერ ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პრობლემები	29

მოსწავლეთა ახლობელი ადამიანის მიერ ალკოჰოლური სასმელის მეტისმეტად დიდი რაოდენობით მიღება	30
ალკოჰოლის მიღების მიზეზები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში	31
ენერგეტიკული სასმელების გამოყენება სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში	32
ნარკოტიკები	33
ექიმის მიერ დანიშნული ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები	33
აკრძალული ნარკოტიკები	33
მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი)	33
მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) მიღება სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში	34
მარიხუანის მოხმარების დაწყების ასაკი	35
ხელსაყრელი პირობები კანაფის/ „პლანის“ გამოსაყენებლად	35
კანაფის/ „პლანის“ მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები მოზარდებში	35
სხვადასხვა ნივთიერებების აღქმული ხელმისაწვდომობა	37
აკრძალული ნარკოტიკების მიღება სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში	38
სხვადასხვა ნივთიერებების მიღების დაწყების ასაკი	39
ახალი ნივთიერებები	40
ლეგალურ და არალეგალურ ნივთიერებათა მოხმარების აღქმული რისკი	41
ინტერნეტი, თამაში, აზარტული თამაში	42
ინტერნეტი	42
თამაში და აზარტული თამაში	43
ფსიქო-სოციალური ნორმები	45
ოჯახი	45
მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვების შეფასება	46
მეგობრების მიერ ნარკოტიკების გამოყენების აღქმული მაჩვენებლები	47
შედარებითი ანალიზი - საქართველო და ESPAD საშუალო მაჩვენებლები	50
ESPAD დიაგრამები	55
დანართი 1 – კვლევის მხარდამჭერი დაწესებულებები	63
დანართი 2 – მკვლევართა სია	64
დანართი 3 – ESPAD-ის კითხვარი	65

ცხრილები

ცხრილი 1. თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	16
ცხრილი 2. თამბაქოს მოხმარების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	17
ცხრილი 3. თამბაქოს მოხმარების ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებელი.	17
ცხრილი 4. სიცოცხლის განმავლობაში ელექტრონული სიგარეტის და ჩილიმის მოწევის სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	18
ცხრილი 5. ელექტრონული სიგარეტის მოწევის ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებელი.	18
ცხრილი 6. სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პასუხების „საკმაოდ ადვილი“ ან „მალიან ადვილი“ პროცენტული მაჩვენებელი.	19
ცხრილი 7. სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის გამოყენება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	19
ცხრილი 8. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მიღების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	20
ცხრილი 9. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მიღების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	20
ცხრილი 10. ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	22
ცხრილი 11. მიღებული ლუდის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდისას ლუდის მიღება, სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	23
ცხრილი 12. მიღებული ღვინის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას ღვინის მიღება, სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	23
ცხრილი 13. მიღებული სპირტიანი სასმელების რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას სპირტიანი სასმელების მიღება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	23
ცხრილი 14. მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას ალკოჰოლის მიღება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	23
ცხრილი 15. ერთ ჯერზე ხუთი ან მეტი ულუფა სასმელის მიღების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	24
ცხრილი 16. ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი დღის განმავლობაში ინტოქსიკაციის აღქმული დონე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	25
ცხრილი 17. თრობის სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	25
ცხრილი 18. იმ მოსწავლეების წილი, რომლებმაც აღნიშნეს თრობა და სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების მიღება 13 წლის ან უმცროს ასაკში. პროცენტული მაჩვენებელი.	26
ცხრილი 19. ენერგეტიკული სასმელების მიღების სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	32
ცხრილი 20. ექიმის დანიშნულებით ტრანკვილიზატორების და სედატიური საშუალებების გამოყენების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი..	33
ცხრილი 21. კანაფის/„პლანის“ აღქმული ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	33

ცხრილი 22. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	34
ცხრილი 23. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	34
ცხრილი 24. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით.	34
ცხრილი 25. მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფის) გასინჯვის ასაკი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	35
ცხრილი 26. მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფის) გასინჯვის შესაძლებლობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	35
ცხრილი 27. „პლანის“/კანაფის სხვადასხვა სახეობის მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	36
ცხრილი 28. სხვადასხვა ნივთიერებების აღქმული ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	37
ცხრილი 29. ექსტაზის, ამფეტამინების, მეტამფეტამინების, კოკაინის და კრეკის მიღების სიხშირე სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	38
ცხრილი 30. ინჰალანტების მიღების სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	38
ცხრილი 31. სხვადასხვა აკრძალული ნარკოტიკების მიღება სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	39
ცხრილი 32. 13 წლის ან უმცროს ასაკში სხვადასხვა ნივთიერებების პირველად მიღების გამოცდილება. პროცენტული მაჩვენებელი.	39
ცხრილი 33. ახალი ნივთიერებების სხვადასხვა სახით მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	40
ცხრილი 34. ლეგალურ და არალეგალურ ნივთიერებათა მიღების აღქმული რისკი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	41
ცხრილი 35. ინტერნეტით სარგებლობა აქტივობების მიხედვით უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში (4 და მეტი დღე). პროცენტული მაჩვენებელი.	42
ცხრილი 36. სოციალური მედიის შესახებ განაცხადებზე თანხმობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	43
ცხრილი 37. აზარტული თამაშების შესახებ განაცხადებზე თანხმობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	44
ცხრილი 38. ფულზე თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	44
ცხრილი 39. ფულზე ინტერნეტით და არა-ინტერნეტით აზარტული თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	45
ცხრილი 40. ინტერნეტის გარეშე ფულზე სხვადასხვა აზარტული თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	45
ცხრილი 41. მოსწავლეების მიერ სხვადასხვა საკითხზე საკუთარი მამის და დედის რეაქციის აღქმა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	46
ცხრილი 42. მეგობრებში ნარკოტიკების აღქმული გამოყენება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	47
ცხრილი 43. სხვადასხვა აქტივობების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	48
ცხრილი 44. გაკვეთილების გაცდენის სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	49

დიაგრამები

დიაგრამა 1. ალკოჰოლის მიღება სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	21
დიაგრამა 2. სხვადასხვა სასმელის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	21
დიაგრამა 3. სხვადასხვა სასმელის მიღება ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდისას სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.	22
დიაგრამა 4. მიღებული ეთანოლის საშუალო მოცულობა (cl-ში) ალკოჰოლის ტიპისა და სქესის მიხედვით.	24
დიაგრამა 5. ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შეძენა საკუთარი გამოყენებისათვის უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	27
დიაგრამა 6. ალკოჰოლური სასმელის უკანასკნელად მიღების ადგილი. პროცენტული მაჩვენებელი.	28
დიაგრამა 7. ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული პირადი, სქესობრივი და სამართლებრივი პრობლემები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	29
დიაგრამა 8. სხვის მიერ ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	30
დიაგრამა 9. ალკოჰოლის მიღების მიზეზები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.	31
დიაგრამა 10. სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ენერგეტიკული სასმელების მიღება. პროცენტული მაჩვენებელი.	32
დიაგრამა 11. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები 8 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	50
დიაგრამა 12. ნარკოტიკული საშუალების აღქმული ხელმისაწვდომობა: იმ მოსწავლეთა მაჩვენებლები, რომლებმაც მიუთითეს „ადვილი“ ან „ძალიან ადვილი“. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	51
დიაგრამა 13. ნარკოტიკების მიღების ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	51
დიაგრამა 14. თამბაქოს მოხმარება: სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	52
დიაგრამა 15. ალკოჰოლის მოხმარება: სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	52
დიაგრამა 16. აკრძალული ნარკოტიკები: სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	53
დიაგრამა 17. ინჰალანტები და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები (NPS): სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	53
დიაგრამა 18. ინტერნეტით სარგებლობის დღეების საშუალო რაოდენობა და უკანასკნელ 7 დღეში 4 და მეტი დღის განმავლობაში ინტერნეტის გამოყენების გავრცელება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.	54
დიაგრამა 19. თამბაქოს მოხმარება: სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	55
დიაგრამა 20. ალკოჰოლის მოხმარება: სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით (შემთხვევათა საშუალო რაოდენობა).	56
დიაგრამა 21. მარიხუანას (ჰაშიში, კანაფი) მოხმარება: სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	57
დიაგრამა 22. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მარიხუანას (ჰაშიში, კანაფი) მოხმარების სიხშირე სქესის მიხედვით (შემთხვევათა საშუალო რაოდენობა).	58
დიაგრამა 23. მარიხუანას (ჰაშიში, კანაფი) უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	59

დიაგრამა 24. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	60
დიაგრამა 25. უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში 4 და მეტი დღის განმავლობაში ინტერნეტ-თამაშების გავრცელება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	61
დიაგრამა 26. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში აზარტული თამაშების გავრცელება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.	62

წინასიტყვაობა და კვლევის მეთოდოლოგია

ESPAD-ის 2015 წლის ზოგადი მიზანი საქართველოში

ESPAD-ის პროექტის მთავარი მიზანია შედარებადი მონაცემების შეგროვება საქართველოში 1999 წელს დაბადებული სტუდენტების მიერ სხვადასხვა ნივთიერების გამოყენების შესახებ. ქართველ მოსწავლეთა შორის ალკოჰოლის, თამბაქოს და ნარკოტიკების გამოყენების შესახებ ყოვლისმომცველი და შედარებადი მონაცემების შეგროვება შესაძლებელი გახდა ESPAD-ის პროტოკოლის მიღების შედეგად. ამ მონაცემის გამოყენება მოხდება ევროპაში მოსწავლეთა შორის ნივთიერებების გამოყენების ტენდენციების მონიტორინგისა და ქვეყნებს და ქვეყნების ჯგუფებს შორის ტენდენციების შესადარებლად. ESPAD-ის მონაცემების გამოყენება ასევე უნდა მოხდეს საჯარო დებატებში; და როგორც ახალგაზრდებისადმი მიმართული პოლიტიკური და პრევენციული ღონისძიებების საფუძველი. გარდა ამისა, მოხდება შეგროვილი მონაცემების ღრმა ანალიზი, რათა უკეთ გავეცნოთ ახალგაზრდების დამოკიდებულებას ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკებისადმი.

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის თანახმად, ESPAD-ის პროექტის მონაცემები გამოყენებული იქნება შეთანხმების შესაფასებლად.

საქართველომ ESPAD-ის კვლევაში მონაწილეობა 2015 წელს პირველად მიიღო და უნდა აღინიშნოს, რომ კვლევას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელა ნარკოტიკისა და ნარკოდამოკიდებულების ევროპის მონიტორინგი ცენტრმა (European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction - EMCDDA).

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია საქართველოს 2015 წლის კვლევის შედეგები.

კვლევის მეთოდოლოგია

მოსწავლეები, შერჩევის ჩარჩო და მოცვა

კვლევა საქართველოში 2015 წლის ნოემბერში ჩატარდა.

საქართველოში საშუალო სკოლა ყველასათვის ხელმისაწვდომია და 9 კლასით მთავრდება. სწავლა 9 კლასის ჩათვლით სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის. შესაძლებელია მოსწავლეების სკოლიდან გასვლა დაწყებითი სკოლის შემდეგ, თუმცა ასეთი რამ ხდება უკიდურესად იშვიათად. 1999 წელს დაბადებულ მოსწავლეების უმრავლესობა ჩაირიცხა მე-10 კლასში. კვლევა მოიცავდა როგორც საჯარო ასევე კერძო სკოლებს.

ქვეყნის მასშტაბით კვლევის ჩასატარებლად მოხდა მე-10 კლასის მოსწავლეთა შერჩევა, რომელთა 73%-ს ESPAD-ის სამიზნე ჯგუფი - 1999 წელს დაბადებული მოსწავლეები - წარმოადგენენ (ანუ 1999 წელს ყველა დაბადებულ პირთა 64%).

შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა ორ ეტაპიანი (სკოლა და კლასი) პროპორციული მარტივი შემთხვევითი შერჩევა. თავდაპირველად, მოსწავლეების შერჩევა მოხდა სკოლის ზომის პროპორციულად (იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა მცირე ზომის სკოლების გადამეტებული წარმომადგენლობა). შემდეგ, ასევე პროპორციულად, თითოეულ სკოლაში შერჩეული იქნა ერთი კლასი (რათა თავიდან აგვეცილებინა მცირე კლასების გადამეტებული წარმომადგენლობა). შეირჩა და, შესაბამისად, დავუკავშირდით 193 სკოლას (168 საჯარო და 25 კერძო). კვლევაში მონაწილეობა 190 სკოლამ და კლასმა მიიღო; სამმა კერძო სკოლამ უარი განაცხადა მონაწილეობაზე, რადგან, მათივე განცხადებით, არ იყვნენ კვლევით დაინტერესებული და არ ქონდათ კვლევისათვის დრო. არამონაწილე სკოლები წარმოადგენს შერჩეული სკოლების 1.55%-ს. კვლევაში არ-მონაწილეობის

მსგავსი მაჩვენებელი მოსალოდნელი იყო. სკოლების უმრავლესობამ გამოხატა თანამშრომლობისათვის მზადყოფნა და მონაწილეობა მიიღო კვლევაში. კვლევაში არმონაწილე სკოლები არ განსხვავდება შერჩეული სკოლებისაგან რეგიონის ან ზომის მიხედვით. აქედან გამომდინარე, არამონაწილე სკოლებს კვლევის განხორციელება არ შეუფერხებიათ. სკოლებთან თანამშრომლობა საკმაოდ კარგი იყო. რაიმე კონკრეტული პრობლემა მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით არ წამოჭრილა. შესაბამისად, შეგროვებული მონაცემები რეპრეზენტატულია ქართველ მეათეკლასელ მოსწავლეებისა.

საველე სამუშაოები

შერჩეულ სკოლებს თავდაპირველად დაუკავშირდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ოფიციალურ წერილს, რომელსაც ხელს აწერდა მინისტრის მოადგილე, თან ერთვოდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (NCDC) წერილი და მშობლის ინფორმირებული თანხმობის ფორმა. NCDC, საჭიროებისამებრ, იყენებდა ტელეფონს და ელექტრონულ ფოსტას. კითხვარი სკოლებში დარიგდა მკვლევარების მიერ. თითოეულ მოსწავლეს ასევე გადაეცა ინდივიდუალური კონვერტი. კვლევის დოკუმენტაციის ტრანსპორტაცია სკოლიდან (ინდივიდუალურ კონვერტში მოთავსებული კითხვარი და საკლასო ანგარიშები) დაავადებათა კონტროლის ცენტრში ხორციელდებოდა მკვლევარების მიერ. კვლევაში მონაწილეობისათვის შერჩეული კლასები მოწმდებოდა საკლასო ანგარიშებით. მონაცემების შეგროვების დროს არანაირ პრობლემას არ ქონია ადგილი.

კვლევას, როგორც წესი, ეთმობოდა 45 წუთი (1 გაკვეთილი). საკლასო ანგარიშების თანახმად, არ ყოფილა დარღვევები და მოსწავლეებმა სერიოზულად იმუშავეს. მოსწავლეთა თანამშრომლობა საკმაოდ კარგი იყო. მხოლოდ სამმა (0.12%) მოსწავლემ განაცხადა უარი კვლევაში მონაწილეობაზე. 50 (2%) მოსწავლეს მონაწილეობა არ მიუღია, რადგან მშობლებმა არ დართეს ნება. არც ერთ მკვლევარს არ აღუნიშნავს, რომ მოსწავლეების აზრით კითხვარი რთული იყო. არ ყოფილა ენასთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან კითხვარი სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც იყო ხელმისაწვდომი.

მოსწავლეთა კითხვარი

საქართველოს კითხვარში გამოყენებული იქნა ძირითადი სეგმენტის ყველა კითხვა. არ იქნა გამოყენებული MA1 და MA2 მოდულების შეკითხვები; არასავალდებულო შეკითხვებიდან გამოყენებულ იქნა: OC13c, O01, O02, O03, O04, O05, O06, O07, O09, O11, O12, O13, O14. ESPAD კითხვარის არც ერთი შეკითხვა არ ყოფილა მიჩნეული არასტანდარტულად არასწორი თარგმანის ან არასწორი პასუხების და ა.შ. საფუძველზე. არცერთი არა-ESPAD კითხვა არ ყოფილა დამატებული. თარგმანი და უკუ-თარგმანი გაკეთდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კითხვარის წინასწარი ტესტირება ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფში, რის შემდეგაც მოხდა მხოლოდ მცირე კორექტირება. ანგარიშს თან ერთვის ქართული კითხვარი (დანართი 1).

მონაცემთა დამუშავება

მონაცემების შეტანა მოხდა ხელით. ყველა მონაცემი ხელმეორედ იქნა შემოწმებული კვლევის ხელმძღვანელის მიერ. აქედან გამომდინარე, ყველა შეყვანილი მონაცემი სწორია და შეესაბამება ხელით შევსებულ კითხვარებს. მონაცემების ანალიზი მოხდა SPSS სტატისტიკური პროგრამით. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა 2477 სრულად შევსებული კითხვარი; მათგან 1961 დაბადებულია 1999 წელს.

რეზიუმე

რეზიუმეში განიხილება ESPAD 2015-ის ძირითადი შედეგები საქართველოში.

სიგარეტი

ქართველ მოსწავლეებში სიცოცხლის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების გავრცელება 43%-ია. მოწევა გოგონებში (30%) უფრო ნაკლებად გავრცელებულია, ვიდრე ბიჭებში (54%). მოსწავლეების 18%-მა განაცხადა, რომ სიგარეტი მოწია უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. საქართველოში უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოწევა ბიჭებში (26%) თითქმის სამჯერ უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში (9%). რეგულარული მწეველია მოსწავლეთა 12% (ბიჭების 19% და გოგონების 4%).

მოსწავლეთა 21%-მა (ბიჭების 28% და გოგონების 13%) მოწევა პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა. მოსწავლეთა 4% (ბიჭების 6% და გოგონების 2%) აღნიშნავს, რომ ყოველდღიური მოწევა 13 წლის ასაკში ან უფრო ადრე დაიწყო. 60%-მა განაცხადა, რომ სიგარეტის შოვნა საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია.

19%-ს (ბიჭების 25% და გოგონების 11%) ოდესმე მოუწევია ელექტრონული სიგარეტი და 9%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 4%) ელექტრონული სიგარეტი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოწია. 33%-ს (ბიჭების 43% და გოგონების 21%) ოდესმე მოუწევია ჩილიმი და 14%-მა (ბიჭების 22% და გოგონების 6%) ჩილიმი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოწია.

მოსწავლეთა 4%-მა (ბიჭების 5% და გოგონების 2%) ელექტრონული სიგარეტი პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მოწია და 1%-მა (ბიჭების 2.0% და არც ერთი გოგონა) ამ ასაკში მისი ყოველდღიურად გამოყენება დაიწყო.

ალკოჰოლი

მოსწავლეების 85%-მა (ბიჭების 86% და გოგონების 83%) აღნიშნა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი. მათ, ვისაც ალკოჰოლური სასმელი ერთხელ მაინც აქვს გასინჯული, 40-ჯერ ან მეტჯერ დალია 22%-მა; და ეს მაჩვენებელი ბიჭებს შორის (31%) თითქმის სამჯერ უფრო მაღალია გოგონებთან (12%) შედარებით.

მოსწავლეთა 43%-მა განაცხადა, რომ ალკოჰოლი მიიღო უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

ქართველ მოსწავლეთა შორის ყველაზე ხშირად მოხმარებული სასმელი ღვინოა (40%), შემდეგ მოდის ლუდი (36%), სპირტიანი სასმელები (30%) და ალკოჰოპი (14%); ყველა სასმელს გოგონებზე მეტად ბიჭები ღებულობენ.

41%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდურ მოხმარებას, რაც უფრო ხშირი იყო ბიჭებში (51%), ვიდრე გოგონებში (30%).

ღვინო ყველაზე ხშირად მოხმარებული სასმელია ადრეულ ასაკში; და მოსწავლეთა 64%-მა აღნიშნა, რომ მინიმუმ ერთი ჭიქა ღვინო 13 წლის ან უმცროს ასაკში ან უფრო ადრე აქვს მიღებული. ღვინოს მოსდევს ლუდი (57%), სპირტიანი სასმელები (36%) და ალკოჰოპი (30%). ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის ადრეული მოხმარება გაცილებით უფრო მაღალია ბიჭებში ვიდრე გოგონებში.

ქართველ მოსწავლეთა 43%-მა (ბიჭების 50% და გოგონების 35%) აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც დამთვრალა; მოსწავლეთა 25%-მა (ბიჭების 29% და გოგონების 20%) განაცხადა, რომ დათვრა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში და 10%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 7%), რომ დათვრა უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. მოსწავლეთა 22% (ბიჭების 29% და გოგონების 13%) დამთვრალა 13 წლის ან უმცროს ასაკში.

ალკოჰოლის უკანასკნელი მიღების დროს მოსწავლეთა 33% იმყოფებოდა საკუთარ სახლში, 23% სხვის სახლში და 20% რესტორანში .

ალკოჰოლის მიღების ყველაზე ხშირ მიზეზად დასახელდა „გასართობად“ (41%), რასაც მოჰყვა „წვეულებაზე უკეთ გასართობად“ (40%) და „იმიტომ, რომ წვეულებებზე/დღესასწაულებზე უკეთესი დრო გავატარო“ (40%).

სმასთან დაკავშირებული ყველაზე ხშირად მითითებული პრობლემა იყო „შეწუხება წვეულების დროს ან მეგობრულ გარემოცვაში ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ“ (32%), „შეწუხება ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ“ (33%).

მოსწავლეთა 73%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აქვს მიღებული ენერგეტიკული სასმელი; 60%-მა მიიღო უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, ხოლო 48%-მა - უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

აკრძალული ნარკოტიკები

მოსწავლეების 11%-მა აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აქვს გასინჯული მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი). 8%-მა მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოიყენა; მოსწავლეთა 4%-მა კი - უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ბიჭებში მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გამოყენება გაცილებით მაღალია. მოსწავლეების 2%-მა მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) 13 წლის ან უმცროს ასაკში გასინჯა.

ქართველ მოსწავლეთა შორის მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გარდა ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკებია - ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები (ექიმის დანიშნულების გარეშე) - 11%, რასაც მოჰყვება მაგიური სოკოები (3%), ტაბლეტები (მედიკამენტები) ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად „კაიფის“ მისაღწევად (3%), „ბიო“ სპაისი (2.6%), ჰალუცინოგენები (2%) და ტკივილგამაყუჩებლები „კაიფის“ მისაღწევად (2%).

მოსწავლეების მიერ ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომ ნარკოტიკებად მიიჩნევა კანაფი (21%), ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები (12%), ექსტაზი (9%) და „ბიო“ სპაისი (7%).

მოსწავლეთა 4%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გაუსინჯავს ექსტაზი; 2%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გაუსინჯავს ამფეტამინები და კოკაინი. ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება ქართველ მოსწავლეებში საკმაოდ მაღალია. 12%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გაუსინჯავს ინჰალანტები, 6%-ს კი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ინჰალანტები წარმოადგენს ნივთიერებათა ერთადერთ სახეობას, რომელსაც გოგონები უფრო ხშირად იყენებენ, ვიდრე ბიჭები. 7%-ს ოდესმე მოუხმარია ახალი ნივთიერებები (ნივთიერებები, რომელთა მოქმედება ნარკოტიკების მსგავსია.)

მოსწავლეთა მიერ საკმაოდ სარისკოდ აღიქმება მარიხუანის (60%), ამფეტამინების (58%), ექსტაზის (57%) და სიგარეტის (51%) რეგულარული გამოყენება.

ინტერნეტი, თამაში, აზარტული თამაში

ინტერნეტით სარგებლობის დღეების საშუალო რაოდენობაა 3.8 დღე (3.9 დღე ბიჭებში და 3.7 დღე გოგონებში). ყველაზე პოპულარული ინტერნეტ აქტივობებია სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია (64%); მუსიკის, ვიდეოების, ფილმების გადმოწერა/ონლაინ ნახვა (48%) და კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ. (36%).

მოსწავლეთა აზრით ისინი ძალიან დიდ დროს უთმობენ სოციალური მედიას (58%) და ეთანხმებიან მშობლების აზრს, რომ სოციალური მედიას ძალიან დიდ დროს უთმობენ (49%).

მოსწავლეთა 14%-მა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფულზე უთამაშია.

ფსიქო-სოციალური ნორმები

მოსწავლეების და მათი მშობლების უმრავლესობა საქართველოში დაიბადა. მშობელთა უმრავლესობას საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. მოსწავლეთა უმრავლესობა ცხოვრობს მამასთან, დედასთან, და-ძმასთან და ბებია-ბაბუასთან ერთად.

მოსწავლეებს თითქმის ყოველთვის აქვთ საშუალება მიიღონ სიტბო და ზრუნვა მათი დედის და/ან მამის და მათი საუკეთესო მეგობრისაგან; ისინი თითქმის ყოველთვის იღებენ ემოციურ მხარდაჭერას საუკეთესო მეგობრისაგან. მშობლებმა, ძირითადად, იციან ვისთან და სად ატარებს საღამოს მათი შვილი. მშობლებისაგან ფულის მიღება არ ითვლება პრობლემურად.

მშობლებმა, თითქმის ყოველთვის იციან თუ სად ატარებს მათი შვილი შაბათ საღამოს.

მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი შეფასება უკანასკნელი სემესტრის ბოლოს საშუალოზე მაღალი იყო. 94% ძალიან კმაყოფილი ან კმაყოფილია დედასთან, მამასთან და მეგობრებთან ურთიერთობით.

უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მშობლებს არ ესაიამოვნებათ თუ ისინი დათვრებიან, გამოიყენებენ მარიხუანას/ჰაშიშს ან ექსტაზს.

მოსწავლეთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწევიან სიგარეტს (83%), იღებენ ალკოჰოლს (85%) და თვრებიან (77%). მოსწავლეთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწევიან მარიხუანას ან ჰაშიშს (კანაფი).

შედეგები

თამბაქო

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული ყველა მაჩვენებელი.

დასაწყისში მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ შეკითხვებზე იმის შესახებ, თუ რამდენად რთული იქნებოდა მათთვის სიგარეტის შოვნა სურვილის შემთხვევაში. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „შეუძლებელი“, „ძალიან რთული“, „საკმაოდ რთული“, „საკმაოდ ადვილი“, „ძალიან ადვილი“ და „არ ვიცი“.

მოსწავლეთა 60%-მა განაცხადა, რომ სიგარეტის შოვნა საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია, გენდერული განსხვავება არ დაფიქსირებულა (ბიჭები - 61% და გოგონები - 59%).

თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში

სიცოცხლის განმავლობაში თამბაქოს მოხმარების მაჩვენებელი ქართველ მოსწავლეებში 43%-ია. მოწევა, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებადაა გავრცელებული გოგონებში (30%), ვიდრე ბიჭებში (54%). რეგულარული მწეველები, ანუ ისინი, ვინც სიცოცხლის განმავლობაში 40-ჯერ ან მეტჯერ მოწია სიგარეტი, შეადგენენ 12%-ს; რეგულარულად უფრო ხშირად ეწევიან ბიჭები (18%), ვიდრე გოგონები (5%).

ცხრილი 1. თამბაქოს მოხმარება სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	46	70	57
1-2	18	13	15
3-9	11	7	9
10-19	4	3	3
20-39	4	2	3
40 +	18	5	12

თამბაქოს მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში

მოსწავლეთა 18%-მა განაცხადა, რომ მოწია უკანასკნელის 30 დღის განმავლობაში. მაჩვენებელი ბიჭებში (26%) თითქმის სამჯერ უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში (9%). რეგულარული მწეველია მოსწავლეთა 12% (ბიჭების 19% და გოგონების 4%).

მოსწავლეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ერთ სიგარეტზე ნაკლები მოწია; სხვებმა განაცხადეს, რომ დღეში 1-5 ღერ სიგარეტს ეწევიან.

ცხრილი 2. თამბაქოს მოხმარების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
საერთოდ არ მომიწევია	74	91	82
1 ღერ სიგარეტზე ნაკლები დღეში	7	5	6
1-5 ღერი სიგარეტი დღეში	7	2	5
6-10 ღერი სიგარეტი დღეში	4	1	3
11-20 ღერი სიგარეტი დღეში	5	0	3
21 +	3	0	2

თამბაქოს მოხმარების დაწყების ასაკი

მოზარდები ზოგჯერ მოწევას ადრეულ ასაკში იწყებენ, ზოგიერთი მოწევას შემდეგაც განაგრძობს, ზოგი კი არა. ქართველი მოსწავლეთა 21%-მა მოწევა (ბიჭების 28% და გოგონების 13%) 13 წლის ან უმცროს ასაკში სცადა.

ცხრილი 3. თამბაქოს მოხმარების ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
პირველი სიგარეტი	28	13	21
ყოველდღიურად მოწევა	6	2	4

მოსწავლეთა 4%-მა (ბიჭების 6% და გოგონების 2%) განაცხადა, რომ ყოველდღიური მოწევა 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო.

ელექტრონული სიგარეტი და ჩილიმი

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვები ელექტრონული სიგარეტის და ჩილიმის გამოყენების შესახებ; როდის (თუ ოდესმე) დაიწყეს ელექტრონული სიგარეტის პერიოდული და ყოველდღიური გამოყენება.

მოსწავლეთა 19%-მა (ბიჭების 25% და გოგონების 11%) ოდესმე მოწია ელექტრონული სიგარეტი და 9%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 4%) ელექტრონული სიგარეტი მოწია უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. მოსწავლეთა 33%-მა (ბიჭების 43% და გოგონების 21%) ოდესმე მოწია ჩილიმი და 14%-მა (ბიჭების 22% და გოგონების 6%) უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

ცხრილი 4. სიცოცხლის განმავლობაში ელექტრონული სიგარეტის და ჩილიმის მოწევის სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

დრო	ჩილიმი			ელექტრონული სიგარეტი		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
დიახ, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში	22	6	14	13	4	9
დიახ, უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში	12	8	10	7	4	6
დიახ, მაგრამ 12 თვის წინ	9	8	8	5	4	5
არასდროს	57	79	67	75	89	81

მოსწავლეთა 4%-მა (ბიჭების 5% და გოგონების 2%) ელექტრონული სიგარეტი პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მოწია და 1%-მა (ბიჭების 2.0% და არც ერთი გოგონა) ამ ასაკში მისი ყოველდღიურად გამოყენება დაიწყო.

ცხრილი 5. ელექტრონული სიგარეტის მოწევის ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
პირველი სიგარეტი	5	2	4
ყოველდღიურად მოწევა	2	0	1

ალკოჰოლი

ალკოჰოლური სასმელების აღქმული ხელმისაწვდომობა

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა, თუ რამდენად რთულია ლუდის, ალკოჰოპის, ღვინის და სპირტიანი სასმელების შოვნა სურვილის შემთხვევაში.

ცხრილი 6. სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პასუხების „საკმაოდ ადვილი“ ან „ძალიან ადვილი“ პროცენტული მაჩვენებელი.

	ლუდი	ალკოჰოპი	ღვინო	სპირტიანი სასმელები
	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი
მამრობითი	75	45	69	59
მდედრობითი	73	44	70	58
სულ	74	45	69	59

მოსწავლეთა 74%-მა (ბიჭების 75% და გოგონების 73%) განაცხადა, რომ ლუდის შოვნა „საკმაოდ ან ძალიან ადვილია“. 69%-ისათვის (ბიჭების 69% და გოგონების 70%) „საკმაოდ ან ძალიან ადვილია“ ღვინის შოვნა; 59%-სათვის (ბიჭების 59% და გოგონების 58%) სპირტიანი სასმელების და 45%-სათვის (ბიჭების 45% და გოგონების 44%) ალკოჰოპების შოვნა.

მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება არ დაფიქსირებულა.

ალკოჰოლის მიღება სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში

მოსწავლეთა 85%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი. ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით ბიჭებსა და გოგონებში დაფიქსირდა მცირე განსხვავება - ბიჭების 86%-მა აღნიშნა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ალკოჰოლი, ეს მაჩვენებელი გოგონებში 83%-ია.

ცხრილი 7. სიცოცხლის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის გამოყენება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	14	17	15
1-2	10	16	13
3-9	19	31	25
10-19	14	15	14
20-39	12	9	11
40 +	31	12	22

მათგან, ვისაც სიცოცხლის განმავლობაში ალკოჰოლი ერთხელ მაინც აქვს მიღებული, 22%-ს 40-ჯერ ან მეტჯერ დაუღევია; ბიჭებში (31%) ეს მაჩვენებელი თითქმის სამჯერ უფრო მაღალია ვიდრე გოგონებში (12%).

მოსწავლეთა 76%-მა ალკოჰოლი მიიღო უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. გენდერული განსხვავება ამ შემთხვევაშიც დაფიქსირდა - ბიჭების 80% და გოგონების 72.

მათგან, ვინც ალკოჰოლი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მიიღო, 28%-მა მიიღო 1-2-ჯერ; 18%-მა 3-9 ჯერ; 12%-მა 10-19-ჯერ; 18%-მა კი 20 და მეტჯერ. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ალკოჰოლს ბიჭები გოგონებზე უფრო ხშირად იღებენ.

ცხრილი 8. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მიღების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.


	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	20	28	24
1-2	24	33	28
3-9	16	20	18
10-19	15	8	12
20-39	11	6	9
40 +	14	4	9

ალკოჰოლის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში

კვლევის დაწყებამდე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლი მიიღო მოსწავლეთა 43%-მა. მათგან უმრავლესობამ (25%) ალკოჰოლი ერთხელ ან ორჯერ მიიღო. ხშირი მომხმარებლები (ვინც ალკოჰოლი 20 და მეტჯერ მიიღო) შეადგენენ 2%-ს. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში უფრო მეტმა ბიჭმა (53%) მიიღო ალკოჰოლი, ვიდრე გოგონამ (33%).

ცხრილი 9. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელის მიღების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.


	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	47	67	57
1-2	26	24	25
3-5	14	5	10
6-9	6	2	4
10-19	4	1	3
20 +	2	1	2



დიაგრამა 1. ალკოჰოლის მიღება მთელი სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა დაუღევიათ თუ არა ლუდი, ღვინო, ალკოჰოლური სასმელები, ალკოჰოპი და სიდრი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, მიღებული სასმელის ყველაზე გავრცელებული სახეობაა ღვინო (40%), შემდეგ ლუდი (36%), სპირტიანი სასმელები (30%) და ალკოჰოპი (14%). სიდრი არავის დაუსახელებია.

გენდერული განსხვავებებს რაც შეეხება, აღსანიშნავია, რომ სასმელების ყველა ტიპს უფრო ხშირად ბიჭები იღებენ. გოგონებს შორის ყველაზე ხშირად მიღებული სასმელია ღვინო და ბიჭებს შორის, თითქმის თანაბრად, ლუდი და ღვინო.



დიაგრამა 2. სხვადასხვა სასმელის მიღება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

არამსმელები

მოსწავლეთა 12%-მა განაცხადა, რომ არასოდეს დაუღევიან ალკოჰოლური სასმელი. გოგონათა შორის არამსმელთა რაოდენობა (14%) მეტია ბიჭებთან შედარებით (10%).


მათ შორის ვინც აღნიშნა ალკოჰოლის მიღება, უმეტესობამ მიუთითა, რომ ალკოჰოლი მიიღო ერთი თვიდან ერთი წლის წინ (26%), 1-7 დღის წინ (25%) და 15-30 დღის წინ (15%) პერიოდში. შეიმჩნევა გარკვეული გენდერული განსხვავებები: ბიჭებს შორის ჭარბობს მათი რაოდენობა ვინც ალკოჰოლი 1-7 დღის წინ მიიღო (31%), როდესაც გოგონებს შორის ეს მაჩვენებელი 18%-ია. გოგონებს შორის ალკოჰოლის მიღება ყველაზე ხშირია ერთი თვე - ერთი წლის წინ პერიოდში (32%).

ცხრილი 10. ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
არასდროს	10	14	12
1-7 დღის წინ	31	18	25
8-14 დღის წინ	13	9	11
15-30 დღის წინ	16	14	15
1 თვის - 1 წლის წინ	21	32	26
1 წელზე დიდი ხნის წინ	8	13	10

ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი დღე

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა თუ რა სასმელი მიიღეს ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი დღეს. ყველაზე ხშირად მოხსენებული სასმელი იყო ღვინო (43%) და ლუდი (44%). გოგონებში ყველაზე ხშირად მიღებული სასმელია ღვინო და ბიჭებში ლუდი და ღვინო.



დიაგრამა 3. სხვადასხვა სასმელის მიღება ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდისას სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

მოსწავლეებს ეთხოვათ დაესახელებინათ იმ სასმელების რაოდენობა, რომელიც უკანასკნელ ჯერზე მიიღეს. პასუხები ყოველი სასმელის ტიპის ფიქსირებულ ოდენობით (სენტლიტრებით - cl), განისაზღვრებოდა.

ცხრილი 11. მიღებული ლუდის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი ეპიზოდისას ლუდის მიღება, სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
<50 cl	18	26	22
50-100 cl	17	8	13
101-200 cl	8	1	5
201+ cl	8	0	4

ცხრილი 12. მიღებული ღვინის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას ღვინის მიღება, სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
<20 cl	9	26	17
20-40 cl	11	12	11
41-74 cl	7	7	7
75 + cl	14	2	9

ცხრილი 13. მიღებული სპირტიანი სასმელების რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას სპირტიანი სასმელების მიღება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.


	მამრობითი	მდედრობითი	სულ
<8 cl	3	8	5
8-15 cl	4	10	7
16-24 cl	6	6	6
25 + cl	6	2	4

ცხრილი 14. მიღებული ალკოჰოპის რაოდენობა იმ მოსწავლეებში, რომლებმაც აღნიშნეს ალკოჰოლის მიღების ბოლო ეპიზოდისას ალკოჰოპის მიღება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
<50 cl	1.2	3.7	2
50-100 cl	1.3	0.3	1
101-200 cl	1	0	0
201+ cl	0	0	0

ლუდის და ალკოჰოპის გადაჭარბებულ რაოდენობად მიიჩნევა 101 cl და მეტი, ღვინის - 41 cl და მეტი და სპირტიანი სასმელების შემთხვევაში - 16 cl და მეტი.

სასმელის უკანასკნელად მიღებისას ბიჭებმა გოგონებზე უფრო დიდი რაოდენობის ალკოჰოლი მიიღეს. ალკოჰოლი არასოდეს არ მიუღია მოსწავლეთა 10%-ს (ბიჭების 8% და გოგონათა 12%)



დიაგრამა 4. მიღებული ეთანოლის საშუალო მოცულობა (cl-ში) ალკოჰოლის ტიპისა და სქესის მიხედვით.

ალკოჰოლის უკანასკნელი მიღებისას მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა გადათვლილ იქნა როგორც ეთანოლის საშუალო მოცულობა (cl-ში). ალკოჰოლის უკანასკნელი მიღებისას მოსწავლეებმა საშუალოდ მიიღეს 4.7 cl ეთანოლი. ბიჭებმა (5.9 cl) მიიღეს უფრო დიდი რაოდენობით ეთანოლი ვიდრე გოგონებმა (3.3 cl); განსხვავება საკმაოდ დიდია (2.6 cl).

ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური მოხმარება

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვით, თუ რამდენჯერ დალიეს სასმელის ხუთი ან მეტი ულუფა¹ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. 41%-მა განაცხადა, რომ მითითებულ პერიოდში ქონდათ ერთი ან მეტი შემთხვევა ერთ ჯერზე დაეღიათ სასმელის ხუთი ან მეტი ულუფა. მოსწავლეთა 20% აღნიშნა, რომ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ხუთი ან მეტი ულუფა მხოლოდ ერთხელ მიიღო; 12%-მა 2-ჯერ და 7%-მა - 3-5-ჯერ. ხუთი ან მეტი ულუფა სასმელი ერთჯერზე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში 6-9-ჯერ დალია მოსწავლეთა 2%-მა და 10-ჯერ და უფრო ხშირად მოსწავლეთა 1%-მა. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური მოხმარება ბიჭებს შორის უფრო ხშირია (51%) ვიდრე გოგონებში (30%).

ცხრილი 15. ერთ ჯერზე ხუთი ან მეტი ულუფა სასმელის მიღების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	49	70	59
1	20	20	20
2	16	7	12
3-5	10	3	7
6-9	3	0	2
10+	2	0	1

¹ 1 ულუფა სხვადასხვა სასმელი - 1 ჭიქა/ბოთლი/ქილა ლუდი - 500მლ; 1 ჭიქა ღვინო - 125 მლ; 1 ჭიქა სპირტიანი სასმელი - 50 მლ; 1 ჭიქა კოქტეილი - 100 მლ.

თრობა

თრობის დონე ალკოჰოლის უკანასკნელი მიღების დღეს

მოსწავლეებს ეთხოვათ ათქულიანი სისტემით შეეფასებინათ თრობის დონე უკანასკნელი დაღევის დროს. ინტოქსიკაციის საშუალო მაჩვენებელი 3-ია (ბიჭებში 3.5% და გოგონებში 2.5%).

მოსწავლეების 21%-მა ინტოქსიკაცია შეაფასა 5 და უფრო მეტი ქულით. ბიჭებიდან ინტოქსიკაციის მაღალი დონე აღნიშნა 29%-მა, ხოლო გოგონებიდან 12%-მა. ყველაზე მძიმე ინტოქსიკაციის მაჩვენებელი - „10“ მონიშნა 2%-მა.

ცხრილი 16. ალკოჰოლის მიღების უკანასკნელი დღის განმავლობაში ინტოქსიკაციის აღქმული დონე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	თრობის დონე									
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
მამრობითი	29	13	9	9	11	5	5	4	1	3
მდედრობითი	34	21	11	7	5	2	2	1	0	2
სულ	32	17	10	8	8	4	3	3	1	2

ინტოქსიკაცია სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა, თუ რამდენჯერ ჰქონდა ადგილი ინტოქსიკაციას სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ქართველი მოსწავლეების 43%-მა (ბიჭების 50% და გოგონების 35%) აღნიშნა, რომ სიცოცხლის მანძილზე ინტოქსიკაციას (თრობას) ადგილი ერთხელ მაინც ქონდა.

მოსწავლეთა 25%-მა (ბიჭების 29% და გოგონების 20%) განაცხადა, რომ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ინტოქსიკაცია ქონდა ერთხელ და მეტჯერ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. 10%-მა (ბიჭების 13% და გოგონების 7%) კი განაცხადა, რომ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ინტოქსიკაცია ქონდა უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში.

ინტოქსიკაციის ყველა დონეზე შეინიშნება გენდერული განსხვავებები.

ცხრილი 17. თრობის სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

შემთხვევების რაოდენობა	თრობა: სიცოცხლის განმავლობაში			თრობა: უკანასკნელი 12 თვე			თრობა: უკანასკნელი 30 დღე		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
0	50	65	57	71	80	75	87	93	90
1-2	28	27	27	21	18	19	9	6	8
3-9	16	8	12	5	1	3	2	0	1
10-19	3	0	2	2	1	1	1	0	0
20-39	2	0	1.0	0.6	1	0	0	0	0
40 +	1	0	1	0.1	1	1	0	0	0

სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების მიღებისა და თრობის დაწყების ასაკი

ღვინო ყველაზე გავრცელებული ალკოჰოლური სასმელია, რომლის მიღებასაც ადრეული ასაკიდან იწყებენ; მოსწავლეების 64%-მა აღნიშნა, რომ მათ 13 წლის ან უმცროს ასაკში დაუღვიათ ერთი ჭიქა ღვინო მაინც. ღვინოს მოსდევს ლუდი (57%), სპირტიანი სასმელები (36%) და ალკოჰოპი (30%). მოსწავლეებს სიდრი არ დაუსახელებიათ.

ყველა სახის ალკოჰოლური სასმელების ადრეული მოხმარება გაცილებით მაღალი იყო ბიჭებში. მაგალითად, ღვინოს ადრეული მიღების მაჩვენებელი ბიჭებში 69%-ია, გოგონებში 59%; ლუდის მიღება ბიჭებში 67%-ია და გოგონებში 46%; სპირტიანი სასმელები - ბიჭებში 43% და გოგონებში 29%; ალკოჰოპი - 38% ბიჭებში და 21% გოგონებში.

22%-მა (ბიჭებში 29% და გოგონებში 13%) თრობა 13 წლის ან უმცროს ასაკში გამოსცადა.

ცხრილი 18. იმ მოსწავლეების წილი, რომლებმაც აღნიშნეს თრობა და სხვადასხვა ალკოჰოლური სასმელების მიღება 13 წლის ან უმცროს ასაკში. პროცენტული მაჩვენებელი.


ალკოჰოლური სასმელების მიღება/თრობა	მამრ.	მდედრ.	სულ
ლუდი	67	46	57
ალკოჰოპები	38	21	30
ღვინო	69	59	64
სპირტიანი სასმელები	43	29	36
თრობა	29	13	22

ალკოჰოლური სასმელების შეძენა

ალკოჰოლური სასმელების გარეთ მიღება

მოსწავლეებს ეთხოვათ გაეხსენებინათ უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში რამდენჯერ შეიძინეს „ლუდი, სიდრი, ალკოჰოპი, ღვინო და სპირტიანი სასმელები მაღაზიაში (სასურსათო მაღაზია, სპირტიანი სასმელების მაღაზია, კოსკი და ავტოგასამართი სადგური) საკუთარი მოხმარებისათვის“. შედეგების მიხედვით ლუდი (34%) ყველაზე ხშირად შეძენილი ალკოჰოლური სასმელია, შემდეგ მოდის ღვინო (17%) და სპირტიანი სასმელები (17%); ალკოჰოპის შეძენა ყველაზე იშვიათად აღინიშნა (12%).


ალკოჰოლის შეძენის თვალსაზრისით გენდერული განსხვავებები აშკარაა: ყველა სახის ალკოჰოლური სასმელის შეძენის დონე ბიჭებში უფრო მაღალია, ვიდრე გოგონებში. უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მაღაზიაში ლუდი შეიძინა ბიჭების 43%-მა, ეს მაჩვენებელი გოგონებს შორის იყო 22%. ანალოგიურად, ღვინოს შეძენას აღნიშნავენ ბიჭების 21% და გოგონების 12%. სპირტიანი სასმელები მესამე ადგილზეა - ბიჭებში შეძენის მაჩვენებელია 23%, გოგონებში - 10%. ალკოჰოპი შეიძინა მოსწავლეების 12%-მა, ბიჭების 18%-მა და გოგონების 6%-მა.



დიაგრამა 5. ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შეძენა საკუთარი გამოყენებისათვის უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

ალკოჰოლის უკანასკნელად მიღების ადგილი

მოსწავლეებს ეთხოვათ აღენიშნათ, თუ უკანასკნელად სად მიიღეს ალკოჰოლი. შედეგების მიხედვით, მოსწავლეების უმრავლესობამ (33%) განაცხადა, რომ სასმელი უკანასკნელად საკუთარ სახლში მიიღეს, 23%-მა სხვის სახლში, 20%-მა რესტორანში, 7%-მა ქუჩაში, 7%-მა ბარში ან ლუდხანაში და 5%-მა დისკოტეკაზე. გენდერული განსხვავებები აშკარაა: გოგონების უმრავლესობამ უკანასკნელად სახლში დალია, ხოლო ბიჭებმა კი უმეტესად ღია ადგილებში, ბარში/ლუდხანაში, დისკოტეკაზე და რესტორანში.




დიაგრამა 6. ალკოჰოლური სასმელის უკანასკნელად მიღების ადგილი. პროცენტული მაჩვენებელი.

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პრობლემები

მოსწავლეებს ეთხოვათ მიეთითებინათ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით განცდილი რაიმე სახის პრობლემა. თოთხმეტი უარყოფითი მოვლენა იქნა აღნიშნული: „ფიზიკური ჩხუბი“, „უბედური შემთხვევა ან ავარია“, „დაშავება ან ნივთების ან ტანსაცმლის დაკარგვა“, „სერიოზული კამათი“, „დაყაჩაღების ან ძარცვის მსხვერპლი“, „პოლიციასთან პრობლემები“, „მძიმე ინტოქსიკაციის გამო საავადმყოფოში ან სასწრაფო დახმარებაში მოხვედრა“, „უბედური შემთხვევის ან დაშავების გამო საავადმყოფოში ან სასწრაფო დახმარებაში მოხვედრა“, „სქესობრივი ურთიერთობა კონდომის (პრეზერვატივის) გარეშე“, „სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი“, „საკუთარი თავისადმი განზრახ მიყენებული ზიანი“, „მოპედიტ, მანქანით ან სხვა ძრავიანი ტრანსპორტით მგზავრობა“, „საჭესთან ყოფნისას ავარიაში მოყოლა“ და „საცურაო აუზში, მდინარეში, ტბაში ან ზღვაში ცურვა“.

ყველაზე ხშირად აღნიშნული პრობლემა იყო „საცურაო აუზში, მდინარეში, ტბაში ან ზღვაში ცურვა“ (28%), „დაშავება ან ნივთების ან ტანსაცმლის დაკარგვა“ (17%), „პოლიციასთან პრობლემები“ (15%), „ფიზიკური ჩხუბი“ (14%), „საკუთარი თავისადმი განზრახ მიყენებული ზიანი“ (10%) და „დაყაჩაღების ან ქურდობის მსხვერპლი“ (10%). ყველაზე ნაკლებად აღნიშნული პრობლემებია „უბედური შემთხვევის ან დაშავების გამო საავადმყოფოში ან სასწრაფო დახმარებაში მოხვედრა“ (4%), „ავარია საჭესთან ყოფნისას“ (4%), „უბედური შემთხვევა ან ავარია“ (4%), „სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი“ (3%), და სხვ.




დიაგრამა 7. ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული პირადი, სქესობრივი და სამართლებრივი პრობლემები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სხვის მიერ ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური პრობლემები

მოსწავლეებს ეთხოვათ მიეთითებინათ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოსცადეს თუ არა სხვის მიერ (უცხო პირი, მეგობარი/ნაცნობი ან სხვა ახლობელი ადამიანი) ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული რაიმე სახის პრობლემა. აღნიშნული იქნა შვიდი უარყოფითი მოვლენა: „წვეულების დროს ან მეგობრულ გარემოცვაში შემაწუხა ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“, „ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შემაწუხა ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“, „ფიზიკური ზიანი მომაცენა ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“, „ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა დამიზიანა ტანსაცმელი ან სხვა ნივთი“, „მოვეყვი ვარიაში, რომლის დროსაც საჭესთან იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი“, „დავემგზავრე ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ

მყოფ პირს“ და „ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ქუჩაში შემაშინა“. ფიზიკური ზიანის შესახებ პასუხში გენდერული განსხვავება აშკარაა.



დიაგრამა 8. სხვის მიერ ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.


ყველაზე ხშირად აღნიშნული პრობლემებია „წვეულების დროს ან მეგობრულ გარემოცვაში შემაწუხა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“ (32%), „ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შემაწუხა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“ (33%); „დავემგზავრე ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს“ (29%) და „ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ქუჩაში შემაშინა“ (16%). ყველაზე ნაკლებად აღნიშნული პრობლემებია „ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა დამიზიანა ტანსაცმელი ან სხვა ნივთი“ (6%); „მოვეყევი ავარიაში, რომლის დროსაც საჭესთან იმყოფებოდა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი“ (4%) და „ფიზიკური ზიანი მომაყენა ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა“ (3%).

მოსწავლეთა ახლობელი ადამიანის მიერ ალკოჰოლური სასმელის მეტისმეტად დიდი რაოდენობით მიღება

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა მათთვის ახლობელი ადამიანი იღებს თუ არა მეტისმეტად დიდი რაოდენობით ალკოჰოლურ სასმელს და იწვევს თუ არა ეს პრობლემას მოსწავლეთა ცხოვრებაში. 25%-მა უპასუხა, რომ მათთვის ახლობელი პირი იღებს მეტისმეტად ბევრ ალკოჰოლურ სასმელს და უქმნით პრობლემებს - ბიჭების 27% და გოგონების 22%. 15%-მა (ბიჭების 12% და გოგონების 17%) აღნიშნა, რომ ეს მათ ცხოვრებაში იწვევს პრობლემებს.

ალკოჰოლის მიღების მიზეზები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში


მოსწავლეებმა აღნიშნეს დაღევის მიზეზები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. ყველაზე ხშირად დასახელებული მიზეზია „გართობა“ (41%), შემდეგ „იმით, რომ წვეულებებზე/დღესასწაულებზე უკეთესი დრო გავატარო“ (40%), „იმით, რომ აუმჯობესებს სოციალური შეკრებებს“ (40%), და „იმით, რომ სოციალური შეკრებები ასე უფრო გასართობია“ (29%); ყველაზე ნაკლებად აღნიშნული პასუხებია „იმისთვის, რომ მოვეწონო გარშემომყოფებს“ (8%); „კაიფის მისაღწევად“ (10%) და „გარიყულად, რომ არ ვიგრძნო თავი“ (10%).



დიაგრამა 9. ალკოჰოლის მიღების მიზეზები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

ენერგეტიკული სასმელების გამოყენება სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში

მოსწავლეების 73%-მა განაცხადა, რომ სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც მიუღია ენერგეტიკული სასმელი. მათგან უმრავლესობას მიუღია 1-2-ჯერ. ბიჭებში მოხმარების დონე (81%) მაღალია გოგონებთან (63%) შედარებით. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ენერგეტიკული სასმელი მიიღო მოსწავლეთა 60%-მა; განსხვავება ბიჭებსა და გოგონებს შორის აშკარაა: ბიჭების 70% და გოგონების 49%.



დიაგრამა 10. სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის, უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ენერგეტიკული სასმელების მიღება. პროცენტული მაჩვენებელი.

უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ენერგეტიკული სასმელის მიღება აღნიშნა მოსწავლეთა 48%-მა; მათ შორის უმრავლესობამ ერთხელ ან ორჯერ - 15%.

ცხრილი 19. ენერგეტიკული სასმელების მიღების სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

შემთხვევების რაოდენობა	სიცოცხლის განმავლობაში			უკანასკნელი 12 თვე			უკანასკნელი 30 დღე		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
0	19	37	27	30	51	40	42	64	52
1-2	15	19	17	14	16	15	17	0	15
3-5	9	8	9	11	9	10	10	5	8
6-9	8	7	7	9	6	8	7	4	6
10-19	10	11	10	9	4	7	5	1	3
20-39	8	4	6	6	2	4	1	1	1
40 +	18	5	12	6	2	4	3	1	0

ექიმის მიერ დანიშნული ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები

ტრანკვილიზატორები ან სედატიური საშუალებები მიეკუთვნება ექიმის მიერ რეცეპტით გასაცემ მედიკამენტთა ჯგუფს, თუმცა მათი შოვნა ექიმის დანიშნულების გარეშე შესაძლებელია ე.წ. „კაიფის“ მისაღწევად და არა სამედიცინო დანიშნულებით. კითხვარში არის შეკითხვები ტრანკვილიზატორების ან სედატიური საშუალებების, ექიმის დანიშნულებით ან დანიშნულების გარეშე, სიცოცხლის განმავლობაში მიღების შესახებ.

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა მიუღიათ თუ არა ტრანკვილიზატორები და რა პერიოდის განმავლობაში ხდებოდა მათი მიღება.

მოსწავლეთა უმრავლესობას (91%) არასოდეს არ მიუღია ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები ექიმის დანიშნულებით. 1%-მა აღნიშნა, რომ იღებდა მათ 3 კვირის, 7%-მა კი 3 კვირაზე ნაკლები დროის განმავლობაში. ექიმის მიერ დანიშნულ ტრანკვილიზატორებს და სედატიურ საშუალებებს უმეტესად იღებდნენ გოგონები.

ცხრილი 20. ექიმის დანიშნულებით ტრანკვილიზატორების და სედატიური საშუალებების გამოყენების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
არასდროს	93	89	91
დიახ, 3 კვირაზე ნაკლები დროის განმავლობაში	6	8	7
დიახ, 3 კვირის განმავლობაში	1	2	1

აკრძალული ნარკოტიკები

მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი)

მოსწავლეთა 21%-სათვის კანაფის/„პლანის“ შოვნა საკმაოდ ადვილი ან ძალიან ადვილია. ბიჭებისათვის კანაფის შოვნა უფრო ადვილია (23%), ვიდრე გოგონებისათვის (18%).

ცხრილი 21. კანაფის/„პლანის“ აღქმული ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
შეუძლებელია	26	23	26
ძალიან რთული	11	13	12
საკმაოდ რთული	13	13	12
საკმაოდ ადვილი	16	13	14
ძალიან ადვილი	7	6	7
არ ვიცი	26	31	28

მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) მიღება სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში

მოსწავლეების 11%-მა აღნიშნა, რომ ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც მოუხმარია მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი); მათგან უმრავლესობას ეს გაუკეთებია მხოლოდ 1-2-ჯერ (5%), შემდეგ არიან ისინი, ვინც მარიხუანა 40-ჯერ და მეტჯერ მიიღო (2%). ბიჭებში მოხმარების დონე უფრო მაღალია (19%), ვიდრე გოგონებში (3%).

ცხრილი 22. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	81.01	96.95	88.51
1-2	7.07	2.51	4.93
3-9	4.75	0.33	2.67
10-19	2.71	0	1.44
20-39	1.55	0	0.82
40 +	2.91	0.22	1.64

მოსწავლეების 8% აღნიშნავს, რომ მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) მოიხმარა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში; მათი უმრავლესობა დასძენს, რომ ნარკოტიკი გამოიყენა მხოლოდ 1-2-ჯერ (4%). კვლავაც, განსხვავება ბიჭებსა და გოგონებში საკმაოდ მაღალია: ბიჭების 14% და გოგონების 2%.

ცხრილი 23. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	86.09	98.46	91.93
1-2	6.07	1.10	3.73
3-9	1.86	0.22	1.09
10-19	2.45	0	1.29
20-39	1.37	0.11	0.78
40 +	2.15	0.11	1.19

მოსწავლეების 4%-მა (ბიჭების 7% და გოგონების 1%) აღნიშნა, რომ მიიღო მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) კვლევამდე 30 დღის განმავლობაში. ხშირი მომხმარებელია (მოწვევის 10 და მეტი შემთხვევა) მოსწავლეთა 1%.

ცხრილი 24. მარიხუანის ან ჰაშიშის მიღების სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	92.76	99.45	95.92
1-2	3.23	0.33	1.86
3-5	1.17	0	0.62
6-9	1.27	0	0.67
10-19	0.78	0	0.41
20 +	0.78	0.22	0.52

მარიხუანის მოხმარების დაწყების ასაკი

ქართველი მოსწავლეების 2%-მა (ბიჭების 4% და გოგონების 1%) მარიხუანა ან ჰაშიში (კანაფი) პირველად 13 წლის ან უმცროს ასაკში მოიხმარა. მოსწავლეების უმრავლესობამ მარიხუანა პირველად 15 წლის ასაკში გამოიყენა (4%; ბიჭები 8% და გოგონები 2%).

ცხრილი 25. მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფის) გასინჯვის ასაკი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
არასდროს	81	96	87
9 წლის ან უმცროსი	0	0	1
10 წლის	1	0	0
11 წლის	0	0	0
12 წლის	1	0	0
13 წლის	2	1	1
14 წლის	4	0	2
15 წლის	8	1	4
16 წლის	4	2	3

ხელსაყრელი პირობები კანაფის/ „პლანის“ გამოსაყენებლად

ყველა მოსწავლეს დაესვა შეკითხვა: “გქონიათ თუ არა მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) გასინჯვის საშუალება და არ გამოგიყენებიათ ეს შანსი”? მოსწავლეთა 24%-ს შესთავაზეს კანაფი/ „პლანი“, მაგრამ მათ ეს შანსი არ გამოუყენებიათ. მაჩვენებელი ბიჭებში უფრო მაღალია - 33%, ვიდრე გოგონებში 16%.

უმრავლესობამ შეთავაზება მიიღო 1-2-ჯერ (ბიჭები 20%, გოგონები 13%), ასეთი შეთავაზება 3 და მეტჯერ მიიღო ბიჭების 13%-მა და გოგონების 3%-მა.

ცხრილი 26. მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფის) გასინჯვის შესაძლებლობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	67	84	76
1-2	20	13	16
3+	13	3	8

კანაფის/„პლანის“ მიღებასთან დაკავშირებული პრობლემები მოზარდებში

მოსწავლეებს, რომლებმაც კანაფი მიიღეს უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, დაესვათ შეკითხვა თუ რა სიხშირით და როგორ იღებდნენ კანაფს/„პლანს“. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „არასდროს“, "იშვიათად", „ხანდახან“, „საკმაოდ ხშირად" და „ძალიან ხშირად".

ცხრილი 27. „პლანის“/კანაფის სხვადასხვა სახეობის მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

	არასდროს	იშვიათად	ხანდახან	საკმაოდ ხშირად	ძალიან ხშირად
მოგიწევიათ პლანი შუადღემდე?	27	3	1	1	0
მოგიწევიათ პლანი, როდესაც მარტო იყავით?	29	1	1	0	1
გქონიათ პლანის მოწვევით გამოწვეული მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები?	29	1	1	0	0
თქვენი ოჯახის წევრებს ან მეგობრებს თუ უთქვამთ თქვენთვის, რომ უნდა შეგემცირებინათ ან შეგეწვიტათ პლანის მოხმარება?	29	1	1	0	1
გიცდიათ თუ არა ოდესმე შეგემცირებინათ ან შეგეწვიტათ პლანის მოხმარება და წარმატებას ვერ მიაღწიეთ?	29	1	1	1	1
გქონიათ პლანის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები(კამათი, ჩხუბი, უბედური შემთხვევა, სკოლაში ცუდი შედეგები, ა.შ.)?	30	1	1	0	0

იმ მოსწავლეების, ვინც განაცხადა, რომ პლანი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მოუწევია, 85%-მა განაცხადა, რომ არასდროს მოუწევია შუადღემდე, 9%-მა აღნიშნა, რომ შუადღემდე იშვიათად მოუწევია. ამ კითხვაზე დადებითი პასუხების პროპორციული მაჩვენებელი 6%-ია.

მოსწავლეების 92%-მა განაცხადა, რომ არასოდეს მოუწევია როდესაც მარტო იყო და 3%-მა აღნიშნა, რომ ეს იშვიათად ხდებოდა. დადებითი პასუხი გასცა 5%-მა.

95%-მა განაცხადა, რომ არასდროს ქონია პლანის მოწვევით გამოწვეული მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები. იმის გამო, რომ შემეცნებითი ხარვეზები უფრო პრობლემატურად ითვლება, ვიდრე მოწვევა შუადღემდე და მარტოდ ყოფნის დროს, დადებითი პასუხის ზღვარი ამ საკითხზე მითითებულია, როგორც „იშვიათად“ ნაცვლად „ხანდახან“. ამდენად, გასულ წელს მომხმარებელთა 5%-მა ამ საკითხს დადებითი უპასუხა.

მეგობრების და ოჯახის წევრების ჩარევა პლანის მოხმარების შემცირების ან შეწყვეტის შესახებ პრობლემური მოხმარების მნიშვნელოვან სოციალურ ინდიკატორს წარმოადგენს. 92%-მა განაცხადა, რომ ასეთი რჩევა არასოდეს მიუღია; 8%-ში ეს მოხდა იშვიათად.

იმ მოსწავლეებს შორის, ვინც პლანი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გამოიყენა, თითქმის 92%-ს არასოდეს უცდია შეემცირებინა ან შეეწყვიტა პლანის მოხმარება. დადებითი პასუხების დარჩენილი 8% ასე გაიყო: „იშვიათად“ (2%), „ხანდახან“ (3%), „საკმაოდ ხშირად“ (1.5%) და „ძალიან ხშირად“ (1.5%).

გასულ წლის განმავლობაში მომხმარებელთა უმრავლესობას (95%) არასდროს ჰქონია პლანის მოხმარებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა მაგალითად კამათი, ჩხუბი, უბედური შემთხვევა, სკოლაში ცუდი შედეგები. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა 5%-მა.

ზოგჯერ მოზარდები მეგობრების იმ წრის ნაწილს წარმოადგენენ, რომელთათვისაც შეხვედრისას პლანის მოწვევა ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ჯგუფის წევრებს დაესვათ შეკითხვა თუ რაოდენ ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. მათ შორის, ვინც ამ კითხვას უპასუხა, 29%-მა აღნიშნა, რომ თითქმის ყოველდღიურად ხვდებიან, 12% - იკრიბება კვირაში 3-4-ჯერ; 10% - კვირაში 1-2-ჯერ; 13% - 1-3-ჯერ თვეში და 36%-მა განაცხადა, რომ ერთმანეთს არ ხვდებიან ყოველთვიურად.

სხვადასხვა ნივთიერებების ალქმული ხელმისაწვდომობა

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა თუ რამდენად რთული იქნებოდა მათთვის, სურვილის შემთხვევაში, შიდა ნივთიერების შოვნა (ამფეტამინები, მეტამფეტამინები, ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები, ექსტაზი, კოკაინი, კრეკი და „ბიო“ სპაისი). საპასუხო კატეგორიები იყო: „შეუძლებელი“, „ძალიან რთული“, „საკმაოდ რთული“, „საკმაოდ ადვილი“, „ძალიან ადვილი“ და „არ ვიცი“. ამ სექციაში გათვალისწინებული იმ მოსწავლეების პროპორციულ მაჩვენებელს, ვისი პასუხი იყო „საკმაოდ ადვილი“ და „ძალიან ადვილი“.

ცხრილი 28. სხვადასხვა ნივთიერებების ალქმული ხელმისაწვდომობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

ნივთიერებები		მამრობითი	მდედრობითი	სულ
ამფეტამინები	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	7	4	6
მეტამფეტამინები	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	7	3	4
ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	12	13	12
ექსტაზი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	11	8	9
კოკაინი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	4	3	3
კრეკი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	3	2	3
„ბიო“ სპაისი	საკმაოდ ადვილი/ ძალიან ადვილი	10	4	7

მოსწავლეებმა ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები (12%), ექსტაზი (9%) და „ბიო“ სპაისი (7%) ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ ნივთიერებებად აღიარეს. ამფეტამინები (6%), მეტამფეტამინები (4%), კოკაინი (3%) და კრეკი (3%) აღნიშნეს როგორც ნაკლებად ხელმისაწვდომი ნივთიერებები.

ბიჭებისათვის ნივთიერებების შოვნა უფრო ადვილია, ვიდრე გოგონებისათვის; მაგალითად, ბიჭების 11%-მა და გოგონების 8%-მა ეს აღნიშნა ექსტაზის შესახებ, ბიჭების 10% და გოგონების 4%-მა იგივე დასძინა „ბიო“ სპაისის შესახებ. სხვა ნივთიერებები, ასევე, უფრო ადვილად ხელმისაწვდომად ითვლება ბიჭებისათვის, ვიდრე გოგონებისათვის, თუმცა ფაქტიურად არ დაფიქსირებულა განსხვავება ტრანკვილიზატორების/სედატიური საშუალებების ხელმისაწვდომობაში.

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა, გამოუყენებიათ თუ არა ოდესმე მარიხუანა და ჰაშიში (კანაფი) და თუ აღიარებდნენ ამას ამ კითხვარში. 9%-მა უპასუხა, რომ მათ უკვე გასცეს სათანადო პასუხი; 39%-მა განაცხადა, რომ ამას აუცილებლად გააკეთებდა; 26%-მა აღნიშნა, რომ შესაძლოა ეს გაეკეთებინა და 10%-მა მიუთითა, რომ სავარაუდოდ, არ აღიარებდა. 11% კი დარწმუნებულია, რომ არ აღიარებდა.

აკრძალული ნარკოტიკების მიღება სიცოცხლის და უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში

ამ თავში „აკრძალულ ნარკოტიკებად“ ითვლება ექსტაზი, ამფეტამინები, მეტამფეტამინები, კოკაინი, კრეკი და ინჰალანტები, და სხვ.

ცხრილი 29. ექსტაზის, ამფეტამინების, მეტამფეტამინების, კოკაინის და კრეკის მიღების სიხშირე სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
ექსტაზი	7	1	4
ამფეტამინი	3	1	2
მეტამფეტამინი	2	0	1
კოკაინი	2	1	2
კრეკი	2	0	1

ყველაზე ხშირად გამოყენებადი ნარკოტიკია ექსტაზი, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოიყენა მოსწავლეთა 4%-მა (ბიჭების 7% და გოგონების 1%). მას მოსდევს ამფეტამინი (2%) და კოკაინი (2%).

ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება ქართველ მოსწავლეებში საკმაოდ მაღალია. მოსწავლეთა 12%-ს (ბიჭების 10% და გოგონების 14%) სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც გამოუყენებია ინჰალანტები. 6%-მა (ბიჭების 5% და გოგონების 7%) ინჰალანტები გამოიყენა უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. 3%-მა (ბიჭების 3% და გოგონების 4%) ინჰალანტები გამოიყენა უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში. ინჰალანტები ერთადერთი ნივთიერებებია, რომლებსაც გოგონები ბიჭებზე უფრო ხშირად იყენებენ.

ცხრილი 30. ინჰალანტების მიღების სიხშირე სიცოცხლის, უკანასკნელი 12 თვის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

შემთხვევების რაოდენობა	სიცოცხლის განმავლობაში			უკანასკნელი 12 თვე			უკანასკნელი 30 დღე		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
0	90	86	88	95	93	94	97	96	97
1-2	5	8	6	2	4	3	1	2	2
3 +	5	6	6	3	2	3	2	2	2

ცნება „აკრძალული ნარკოტიკები“ ასევე მოიცავს ტრანკვილიზატორებს ან სედატიურ საშუალებებს (ექიმის დანიშნულების გარეშე), ელ-ეს-დეს (LSD) ან სხვა ჰალუცინოგენებს, რელევინს, ჰეროინს, „მაგიური სოკოებს“, გამაჰიდროქსიბუტირატს (GHB), ანაბოლურ სტეროიდებს, ნარკოტიკებს ინექციური გზით (მაგ. ჰეროინი, კოკაინი, ამფეტამინები), ტაბლეტებს (მედიკამენტები) ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად „კაიფის“ მისაღწევად, ტკივილგამაყუჩებლებს „კაიფის“ მისაღწევად, „ბიოს“ (სპაისი).

ცხრილი 31. სხვადასხვა აკრძალული ნარკოტიკების მიღება სიცოცხლის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
ტრანკვილიზატორები ან სედატიურ საშუალებები	10	13	11
ელ-ეს-დეს (LSD) ან სხვა ჰალუცინოგენები	4	1	2
ჰეროინი	3	1	2
„მაგიური სოკოები“	4	1	3
გამაჰიდროქსიბუტირატი (GHB)	1	0	1
ანაბოლიური სტეროიდები	1	0	1
ნარკოტიკები ინექციური გზით	0.49	0.22	0.36
ტაბლეტები ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად	4	1	3
ტკივილგამაყუჩებლები	3	1	2
„ბიო“ (სპაისი)	4	2	3

მარიხუანის და ჰაშიშის (კანაფი) გარდა ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკები ქართველ მოსწავლეებს შორის არის ტრანკვილიზატორები და სედატიური საშუალებები (ექიმის დანიშნულების გარეშე) - 11%, შემდეგ „მაგიური სოკოები“ (3%), ტაბლეტები (მედიკამენტები) ალკოჰოლურ სასმელებთან ერთად „კაიფის“ მისაღწევად (3%); ჰალუცინოგენები (2%); ტკივილგამაყუჩებლები გამოიყენა „კაიფის“ მისაღწევად (2%) და „ბიო“ სპაისი- 3%. 2%-მა აღნიშნა, რომ გამოიყენა ჰეროინი; გამაჰიდროქსიბუტირატი (GHB) და ანაბოლიური სტეროიდები ახსენა მოსწავლეთა 1%-მა. ნარკოტიკები ინექციური გზით (მაგ. ჰეროინი, კოკაინი, ამფეტამინი) დაასახელა მოსწავლეების 0.36%-მა. ტრანკვილიზატორების (ექიმის დანიშნულების გარეშე) გარდა, ყველა ნივთიერებას უფრო ხშირად ბიჭები იყენებენ.

სხვადასხვა ნივთიერებების მიღების დაწყების ასაკი

სხვადასხვა ნივთიერებების მიღების გამოცდილება 13 წლის ან უმცროს ასაკში საკმაოდ იშვიათია: ინჰალანტები - 3.9%; ტრანკვილიზატორები/სედატიური საშუალებები (ურეცეპტოდ) - 1%; ალკოჰოლური სასმელი ტაბლეტებთან ერთად - 1%; ექსტაზი - 1%; კოკაინი და კრეკი - 1%; ამფეტამინი და მეტამფეტამინი - 1%.

ცხრილი 32. 13 წლის ან უმცროს ასაკში სხვადასხვა ნივთიერებების პირველად მიღების გამოცდილება. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
მარიჰუანა/ ჰაშიში	3.65	0.87	2.35
ტრანკვილიზატორი/სედატიური	1.44	0.88	1.18
ამფეტამინი/მეტამფეტამინი	0.58	0.33	0.46
კოკაინი/კრეკი	0.86	0.33	0.62
ექსტაზი	1.06	0.22	0.67
ინჰალანტები	3.45	2.85	3.17
ალკოჰოლი + ტაბლეტები	0.96	0.55	0.77

ახალი ნივთიერებები

ახალ ნივთიერებებში იგულისხმება ისეთი ნივთიერებები, რომელთა მოქმედება ნარკოტიკების [როგორცაა კანაფი/„პლანი“ და ექსტაზი] მსგავსია. ისინი არსებობენ სხვადასხვა ფორმით - ბალახოვანი ნარევი, ფხვნილი, კრისტალი, ტაბლეტი. მოსწავლეებს დაესვათ კითხვა ოდესმე თუ მოუხმარიათ ამგვარი ნივთიერებები. 7%-მა (10% ბიჭი და 3% გოგონა) შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა.

მოსწავლეებს ასევე დაესვათ კითხვა თუ რა ფორმით მიიღეს ამგვარი ნივთიერებები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. 14%-მა (17% ბიჭი და 10% გოგონა) აღნიშნა, რომ მიუღია ამგვარი ნივთიერებები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. 5%-მა აღნიშნა, რომ მიიღო ბალახოვანი მოსაწევი ნარევის სახით; 4%-მა აღნიშნა, რომ მიიღო სითხის სახით; 3%-მა ფხვნილის, კრისტალისა ან ტაბლეტის სახით და 10%-მა სხვა ფორმით.

ცხრილი 33. ახალი ნივთიერებების სხვადასხვა სახით მიღების სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
ბალახოვანი მოსაწევი ნარევი	7.80	1.79	5.06
სითხე	5.24	1.53	3.55
ფხვნილი, კრისტალი ან ტაბლეტი	3.63	1.41	2.62
სხვა	11.32	10.48	10.48
სულ	17.41	10.23	14.14

ლეგალურ და არალეგალურ ნივთიერებათა მოხმარების აღქმული რისკი

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა „როგორ ფიქრობთ, რამდენად აყენებს ადამიანი თავის ჯანმრთელობას რისკის ქვეშ (ფიზიკურად ან სხვა ფორმით) თუ...“ სიგარეტს ეწევიან, იღებენ ალკოჰოლს და აკრძალულ ნარკოტიკებს. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „არაა სარისკო“, „მსუბუქი რისკია“, „საშუალო რისკია“, „უდიდესი რისკია“, „არ ვიცი“. ამ ნაწილში კომენტარები ეხება პასუხს „უდიდესი რისკია“.

ცხრილი 34. ლეგალურ და არალეგალურ ნივთიერებათა მიღების აღქმული რისკი სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
იშვიათად ეწევა სიგარეტს	15	17	16
დღეში ეწევა სიგარეტის ერთ ან მეტ კოლოფს	44	60	51
სვამს ერთ ან ორ ულუფა (ჭიქა)ალკოჰოლს თითქმის	21	34	27
სვამს 4 ან 5 ულუფა(ჭიქა)ალკოჰოლს თითქმის ყოველდღე	35	59	46
სვამს 5 ან მეტ ულუფა(ჭიქა)ალკოჰოლს ყოველ შაბათ-კვირას	31	44	37
ეწევა მარიხუანას/კანაფს ყოველ შაბათ-კვირას	40	62	50
ეწევა “პლანს” იშვიათად	23	37	30
ეწევა “პლანს” რეგულარულად	48	73	60
მას გაუსინჯავს ექსტაზი ერთხელ ან ორჯერ	25	28	26
იღებს ექსტაზს რეგულარულად	48	67	57
იღებს ამფეტამინს (uppers/მადვიძარა აბები, pep pills /ენერგიული აბები, bennie/ბენზედრინი, speed/სპიდი) ერთხელ ან ორჯერ	31	39	35
იღებს ამფეტამინს რეგულარულად	51	66	58

რისკის აღქმა ნივთიერებების მიხედვით იცვლება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა მარიხუანის (60%), ამფეტამინის (58%), ექსტაზის (57%) და სიგარეტის (51%) რეგულარულად გამოყენებასთან დაკავშირებით.

გოგონები ბიჭებზე გაცილებით უფრო მეტად აღიქვამენ დიდ რისკს. მაგალითად, გოგონების 73% ფიქრობს, რომ „პლანის“ რეგულარული გამოყენება დიდად სარისკოა, იგივეს ფიქრობს ბიჭების მხოლოდ 48%; გოგონების 66% ფიქრობს, რომ ამფეტამინის რეგულარული გამოყენება დიდად სარისკოა, ბიჭების მხოლოდ 52% ფიქრობს იგივეს. ანალოგიურად, ექსტაზის რეგულარულ მოხმარებას რისკულ ქცევად მიჩნევენ გოგონათა 67% და ბიჭების 48%; დღეში სიგარეტის ერთი კოლოფის მოწევა გოგონების 60%-ის მიერ აღიქმება დიდად სარისკოდ, იგივეს ფიქრობს ბიჭების 44%.

ინტერნეტი

ინტერნეტის მეშვეობით ახალგაზრდებს მთელ მსოფლიოში აქვთ საშუალება გაეცნონ ინფორმაციის უდიდეს წყაროს, რასაც იყენებენ საკუთარი ინფორმირებულობისთვის და რაც მათი სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ახალგაზრდები სულ უფრო და უფრო ეყრდნობიან ინტერნეტს, როგორც კომუნიკაციის, სასწავლო და საძიებო საშუალებას, ამავდროულად ისინი უფრო იკეტებიან საკუთარ სამყაროში, ხდებიან ინტროვერტები და უწევთ საექვო პირისპირი კომუნიკაცია სხვადასხვა პირებთან. დღეისათვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება უფრო ხშირია მოზარდებში ვიდრე ზრდასრულებში. ინტერნეტზე დამოკიდებულება მოზარდების პოტენციურ პრობლემას წარმოადგენს.

ინტერნეტით სარგებლობა უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, კვირის რომელ დღეს ისარგებლეს მათ ინტერნეტით (კომპიუტერი, პლანშეტური კომპიუტერი, სმარტფონი ან სხვა ელექტრონული მოწყობილობა). ინტერნეტით სარგებლობა უფრო პოპულარულია შაბათ-კვირას. ინტერნეტით სარგებლობის დღეების საშუალო რაოდენობაა 3.8 დღე (3.9 დღე ბიჭებში და 3.7 დღე გოგონებში).

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში, რამდენი დღე სარგებლობდნენ ინტერნეტით ისეთი აქტივობებისთვის, როგორცაა სოციალური მედია (ინტერნეტით კომუნიკაცია, უოტსაპი, ტვიტერი, ფეისბუქი, სკაიპი, ბლოგები, სნეპჩეტი, ინსტაგრამი, კიკი და ა.შ.); ონლაინ თამაშები (ბრძოლები, სტრატეგიული და საბრძოლო თამაშები, ვორკრაფტი, ქოლ ოფ დიუთი, სეფთ აუტო და ა.შ.); მომგებიანი თამაშები (პოკერი, სკრეჩი, კამათლები, სლოტები და ა.შ.); კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ.; მუსიკის, ვიდეოების, ფილმების გადმოწერა/ონლაინ ნახვა; სხვადასხვა პროდუქციის, თამაშების, წიგნების ყიდვა-გაყიდვა (ამაზონი, იბეი და ა.შ.).

ყველაზე პოპულარული ინტერნეტ აქტივობებია სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია (64%); მუსიკის, ვიდეოების, ფილმების გადმოწერა/ონლაინ ნახვა (48%) და კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ. (36%).

6% თამაშობს მომგებიან თამაშებს (პოკერი, სკრეჩი, კამათლები, სლოტები და ა.შ.).

ცხრილი 35. ინტერნეტით სარგებლობა აქტივობების მიხედვით უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში (4 და მეტი დღე). პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
სოციალური მედია	60	67	64
ონლაინ თამაშები	23	2	13
მომგებიანი თამაშები	10	1	6
კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ.	31	42	36
მუსიკის,ვიდეოების, გადმოწერა/ონლაინ ნახვა	47	49	48
სხვადასხვა პროდუქციის, თამაშების, წიგნების ყიდვა-გაყიდვა	13	6	10

ბიჭებში უფრო პოპულარულია ონლაინ თამაშები (ბრძოლები, სტრატეგიული და საბრძოლო თამაშები, ვორკრაფტი, ქოლ ოფ დიუთი, სეფთ აუტო და ა.შ.) და მომგებიანი თამაშები (პოკერი, სკრეჩი, კამათლები, სლოტების და ა.შ.).

ინტერნეტით სარგებლობა ტიპური დღის განმავლობაში

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა თუ ტიპური დღის განმავლობაში დაახლოებით რამდენი საათი სარგებლობდნენ ინტერნეტით. დღის განმავლობაში ყველაზე პოპულარული აქტივობაა სხვა ადანიანებთან კომუნიკაცია - მოსწავლეთა 28% მას დაახლოებით 6 ან მეტ საათს უთმობს დღეში; შემდეგ მუსიკის, ვიდეოების, ფილმებისგადმოწერა/ონლაინ ნახვა – 15% დღეში 6 ან მეტ საათს უთმობს; მესამე ადგილზეა კითხვა, გვერდების ნახვა, ინფორმაციის ძიება, ა.შ. – 9% უთმობს დღეში 6 ან მეტ საათს.

3% მომგებიან თამაშებს (პოკერი, სკრეჩი, კამათლები, სლოტების და ა.შ.) უთმობს დღეში 6 ან მეტ საათს.

მოსწავლეებს ასევე დაესვათ შეკითხვა თუ რამდენად ეთანხმებიან/არ ეთანხმებიან ჩამოთვლილ განცხადებებს სოციალური მედიის (სხვებთან ინტერნეტით კონტაქტი, როგორცაა: ვოტს-აპი, ტვიტერი, ფეისბუქი, სკაიპი, ბლოგები, სნეპჩეტი, ინსტაგრამი და ა.შ.) შესახებ. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „ვეთანხმები“, „ნაწილობრივ ვეთანხმები“, „არც კი არც არა“, „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“. მოსწავლეების მაჩვენებელი, რომლებმაც უპასუხეს „ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ ვეთანხმები“ ამ ნაწილში განიხილება, როგორც დადებითი პასუხი ანუ „ვეთანხმები“; მოსწავლეების მაჩვენებელი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“ ამ ნაწილში განიხილება, როგორც უარყოფითი პასუხი ანუ „არ ვეთანხმები“.

მოსწავლეების აზრით ისინი ძალიან დიდ დროს უთმობენ სოციალური მედიას (58%; ბიჭების 54% და გოგონების 63%) და ეთანხმებიან მათი მშობლების აზრს, რომ ძალიან დიდ დროს უთმობენ სოციალური მედიას (49%; ბიჭების 48% და გოგონების 51%).

ცხრილი 36. სოციალური მედიის შესახებ განაცხადებზე თანხმობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		მამრობითი	მდედრობითი	სულ
ჩემი აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ სოციალური მედიას	ვეთანხმები	54	63	58
	არ ვეთანხმები	28	24	26
ცუდ ხასიათზე ვდგები, როცა ვერ ვუთმობ დროს სოც. მედიას	ვეთანხმები	29	28	29
	არ ვეთანხმები	50	56	53
ჩემი მშობლების აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ სოციალური მედიას	ვეთანხმები	48	51	49
	არ ვეთანხმები	36	36	36

თამაში და აზარტული თამაში

მოზარდებში თამაშები, აზარტული თამაშები და ნივთიერებების გამოყენება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საერთაშორისო პრობლემად ითვლება. თამაშის ადრეულ ასაკში დაწყება ცნობილია, როგორც რისკ-ფაქტორი თამაშებზე დამოკიდებულების განსავითარებლად სიცოცხლის განმავლობაში. მოზარდებისათვის თამაში სასიამოვნო გართობაა. თუმცა, კვლევები ცხადყოფს, რომ ონლაინ გადაჭარბებულად თამაშმა შეიძლება ნივთიერებებზე დამოკიდებულების მსგავსი სიმპტომები გამოიწვიოს. როგორც ზრდასრულ ადამიანებში, ასევე მოზარდებში აზარტული თამაშები უკავშირდება რიგ უარყოფითი მოვლენებს, როგორცაა კრიმინალური პრობლემები, ცუდი აკადემიური მოსწრება, გაკვეთილების გაცდენა, ფინანსური პრობლემები, დეპრესია, თვითმკვლელობა, სოციალური ყოფის გაუარესება და ნივთიერებების ბოროტად გამოყენება.

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა, თუ რამდენად ეთანხმებიან/არ ეთანხმებიან ზოგიერთ განცხადებას კომპიუტერზე, პლანშეტურ კომპიუტერზე, სმარტფონზე, პულტიან კომპიუტერზე ან სხვა ელექტრონულ მოწყობილობაზე თამაშების შესახებ. პასუხები იყოფოდა შემდეგ კატეგორიებად: „ვეთანხმები“, „ნაწილობრივ ვეთანხმები“, „არც კი არც არა“, „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“ და „არ ვეთანხმები“. მოსწავლეების მაჩვენებელი, რომლებმაც უპასუხეს „ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ ვეთანხმები“ ამ ნაწილში განიხილება, როგორც დადებითი პასუხი ანუ „ვეთანხმები“; მოსწავლეების მაჩვენებელი, რომლებმაც უპასუხეს „არ ვეთანხმები“ და „ნაწილობრივ არ ვეთანხმები“ ამ ნაწილში განიხილება, როგორც უარყოფითი პასუხი ანუ „არ ვეთანხმები“.

მოსწავლეები უმეტესად არ ეთანხმებიან ისეთ განცხადებას, როგორცაა „ცულ ხასიათზე ვდგები, როცა ვერ ვთამაშობ“ (69%), „ჩემი მშობლების აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ თამაშებს“ (62%) და „ჩემი აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ თამაშებს“ (59%). ამ განცხადებებს არ ეთანხმებიან უმეტესად გოგონები.

ცხრილი 37. აზარტული თამაშების შესახებ განაცხადებზე თანხმობა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		მამრობითი	მდედრობითი	სულ
ჩემი აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ თამაშებს	ვეთანხმები	41	15	29
	არ ვეთანხმები	47	73	59
ცულ ხასიათზე ვდგები, როცა ვერ ვთამაშობ	ვეთანხმები	24	8	17
	არ ვეთანხმები	60	80	69
ჩემი მშობლების აზრით, ძალიან დიდ დროს ვუთმობ თამაშებს	ვეთანხმები	37	15	26
	არ ვეთანხმები	49	77	62

კითხვარში შედიოდა შეკითხვები უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ფულზე სხვადასხვა აზარტული თამაშის სიხშირის შესახებ. 14%-მა (ბიჭების 24% და გოგონების 3%) აღნიშნა, რომ უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში უთამაშია. 4% კვირაში 4-ჯერ ან მეტჯერ თამაშობს; ბიჭების 8% და გოგონების 1%.

ცხრილი 38. ფულზე თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
0	76	97	86
ყოველთვიურად ან იშვიათად	7	1	4
2-4-ჯერ თვეში	6	1	3
2-3-ჯერ კვირაში	3	1	2
4-5-ჯერ კვირაში	3	0	1
≥6-ჯერ კვირაში	5	1	3

შეკითხვები ეხებოდა ასევე ინტერნეტით თამაშის ტიპებს [სათამაშო ავტომატები/სლოტები (ხილის ავტომატები, ახალი სლოტები, ა.შ.); კარტით ან კამათლებით თამაში (პოკერი, ბრიჯი, კამათლები, ა.შ.); ლატარია (გადაფხეკა, ბინგო, კენო, ა.შ.); სპორტზე ან ცხოველებზე ფსონის დადება] და სიხშირეს [„არ მითამაშია“, „ყოველთვიურად ან ნაკლები“, „2-4-ჯერ თვეში“, „2-3-ჯერ კვირაში“, „4-5-ჯერ კვირაში“, „6-ჯერ ან მეტჯერ კვირაში“]. ამ თავში პასუხები „ყოველთვიურად ან ნაკლები“ და „2-4-ჯერ თვეში“

განიხილება, როგორც „ყოველთვიურად“; პასუხები „2-3-ჯერ კვირაში“, „4-5-ჯერ კვირაში“, „6-ჯერ ან მეტჯერ კვირაში“ განიხილება, როგორც „ყოველკვირეულად“.

მოსწავლეების უმეტესობა თამაშობს კარტით ან კამათლებით და ინტერნეტით დებს ფსონს სპორტზე ან ცხოველებზე.

მოსწავლეთა 19% თამაშობს ინტერნეტით, ხოლო 14% - ინტერნეტის გარეშე.

ცხრილი 39. ფულზე ინტერნეტით და არა-ინტერნეტით აზარტული თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	მამრობითი	მდედრობითი	სულ
ინტერნეტი	28	8	19
არა-ინტერნეტი	21	7	14

იგივე შეკითხვები დაესვათ ინტერნეტის გარეშე აზარტული თამაშების შესახებ. პასუხები გაიყო ზემოთჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით. უმრავლესობამ აღნიშნა კარტით და კამათლებით თამაში (7%) და ფსონის დადება სპორტზე ან ცხოველებზე (3%).

ცხრილი 40. ინტერნეტის გარეშე ფულზე სხვადასხვა აზარტული თამაშის სიხშირე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		მამრობითი	მდედრობითი	სულ
სლოტები	ყოველთვიურად	4	0	2
	ყოველკვირეულად	2	0	1
კარტით და კამათლებით თამაში	ყოველთვიურად	9	5	7
	ყოველკვირეულად	5	1	3
ლატარია	ყოველთვიურად	3	1	3
	ყოველკვირეულად	2	0	1
ფსონის დადება სპორტზე ან ცხოველებზე	ყოველთვიურად	7	1	4
	ყოველკვირეულად	5	1	3

ფსიქო-სოციალური ნორმები

ოჯახი

მოსწავლეების 96% დაიბადა საქართველოში, 1% - აზერბაიჯანში, 1% - სომხეთში და 2% სხვა ქვეყნებში. მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი დედა (96%) და მამა (96%) საქართველოში დაიბადა.

მამების უმრავლესობას აქვს უმაღლესი (48%) ან საშუალო განათლება (34%); დედების 53%-ს აქვს უმაღლესი განათლება და 33%-მა - საშუალო განათლება.

შეკითხვაზე თუ რამდენად კარგად ცხოვრობს მოსწავლის ოჯახი ქვეყნის სხვა ოჯახებთან შედარებით, მოსწავლეების უმრავლესობამ უპასუხა, რომ მათი ოჯახი იგივე დონეზეა (47%); 23%-მა აღნიშნა „უკეთესად“ და 16%-მა „გაცილებით უკეთესად“.

მოსწავლეების უმრავლესობა ცხოვრობს მამასთან (72%) დედასთან (87%); ძმასთან (47%), დასთან (37%) და ბებია-ბაბუსთან (36%) ერთად.

მოსწავლეებს დაესვათ შეკითხვა, თუ რამდენად ხშირად ხდება მათ ცხოვრებაში სხვადასხვა ფაქტი. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „თითქმის ყოველთვის“, „ხშირად“, „ზოგჯერ“, „იშვიათად“ და „თითქმის არასდროს“. მოსწავლეები თითქმის ყოველთვის იღებენ სითბოს და ზრუნვას დედისა ან/და მამისაგან (65%; ბიჭების 58% და გოგონების 72%), ასევე საუკეთესო მეგობრისგან (62%; ბიჭების 54% და გოგონების 70%); თითქმის ყოველთვის იღებენ ემციურ მხარდაჭერას საუკეთესო მეგობრისგან (64%; ბიჭების 60% და გოგონების 68%). უმეტესად, მშობლებმა იციან, თუ ვისთან ერთად არის მათი შვილი საღამოობით – თითქმის ყოველთვის (53%; ბიჭების 36% და გოგონების 71%) ან ხშირად (18%; ბიჭების 21% და გოგონების 14%) და ასევე იციან, თუ სად არის მათი შვილი საღამოობით – თითქმის ყოველთვის (58%; ბიჭების 41% და გოგონების 77%) ან ხშირად (19%; ბიჭების 24% და გოგონების 13%). მშობლებისგან ფულის მიიღება არ წარმოადგენს პრობლემას: მათ თითქმის ყოველთვის შეუძლიათ თხოვონ ფული მშობლებს (46%; ბიჭების 42% და გოგონების 50%) ან მათგან საჩუქრად მიიღონ ფული (36%; ბიჭების 33% და გოგონების 40%). მშობლების 71%-მა (ბიჭების 57% და გოგონების 87%) ყოველთვის და 18%-მა (ბიჭების 26% და გოგონების 10%) საკმაოდ ხშირად იციან, თუ სად ატარებს მათი შვილი შაბათ საღამოს. მხოლოდ 2%-ს (ბიჭების 2% და გოგონებში 1%) არ აქვს ინფორმაცია ამის შესახებ.

მოსწავლეთა თვითშეფასება და სხვების შეფასება

მოსწავლეების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი საშუალო შეფასება უკანასკნელი სემესტრში საშუალოზე მაღალია (61%; ბიჭების 59% და გოგონების 64%) და მაღალია (23%; ბიჭების 18% და გოგონების 28%).

რაც შეეხება მშობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობას, 94%-ს (ბიჭების 93% და გოგონების 94%) ძალიან კარგი ან კარგი ურთიერთობა აქვს დედასთან; 87%-ს (ბიჭების 89% და გოგონების 86%) ძალიან კარგი ან კარგი ურთიერთობა აქვს მამასთან და 94%-ს (ბიჭების 95% და გოგონების 94%) ძალიან კარგი ან კარგი ურთიერთობა აქვს მეგობრებთან.

მოსწავლეებს ვკითხეთ როგორი რეაქცია ექნებოდა დედას და მამას, თუ გაიგებდნენ, რომ მათი შვილი დათვრა, ეწევა მარიხუანას/კანაფს და იღებს ექსტაზს. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „ამის უფლებას არ მომცემდა“, „დამიშლიდა“, „მისთვის არ ექნებოდა მნიშვნელობა“, „ამის უფლებას მომცემდა“ და „არ ვიცი“.

ცხრილი 41. მოსწავლეების მიერ სხვადასხვა საკითხზე საკუთარი მამის და დედის რეაქციის აღქმა სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		დათრობა			მარიხუანის/ჰაშიშის მოწევა			ექსტაზის მიღება		
		მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
ამის უფლებას არ მომცემდა	დედა	23	35	29	68	83	75	71	83	76
	მამა	25	45	35	65	81	72	67	80	73
დამიშლიდა	დედა	50	41	46	17	8	13	13	6	10
	მამა	33	29	31	17	6	12	14	6	10

მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი მშობლები უკმაყოფილო იქნებოდნენ - დაუშლიდნენ ან არ მიცემდნენ დათრობის, მარიხუანის/ჰაშიშის მოწევის, ექსტაზის მიღების უფლებას.

მეგობრების მიერ ნარკოტიკების გამოყენების აღქმული მაჩვენებლები

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა, თუ მათი რამდენი მეგობარი ეწევა სიგარეტს, იღებს ალკოჰოლურ სასმელს (ლუდი, სიდრი, ალკოპოპები, ღვინო და სპირტიანი სასმელები), თვრება, ეწევა „პლანს“, იღებს ტრანკვილიზატორებს ან სედატიურ საშუალებებს (ექიმის დანიშნულების გარეშე), იღებს ექსტაზს, იყენებს ინჰალანტებს. პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „არც ერთი“, „ცოტა“, „რამდენიმე“, „უმეტესობა“ და „ყველა“.

მოსწავლეების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწევიან სიგარეტს (83%); იღებენ ალკოჰოლურ სასმელებს (85%) და თვრებიან (77%).

მოსწავლეების დაახლოებით ნახევარმა (49%) აღნიშნა, რომ მათი მეგობრები ეწევიან „პლანს“. 25%-მა აღნიშნა, რომ მათი მეგობრები იღებენ ტრანკვილიზატორებს ან სედატიურ საშუალებებს (ექიმის დანიშნულების გარეშე); 17%-მა განაცხადა, რომ მათი მეგობრები იღებენ ექსტაზს და 14%-მა განაცხადა, რომ მათი მეგობრები იყენებენ ინჰალანტებს.

ცხრილი 42. მეგობრებში ნარკოტიკების აღქმული გამოყენება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		არცერთი	ცოტა	რამდენიმე	უმრავლესობა	ყველა
სიგარეტის მოწევა	მამრ.	15	27	25	27	3
	მდედრ.	18	23	31	25	2
	სულ	17	26	29	26	3
ალკოჰოლური სასმელები	მამრ.	13	31	22	25	6
	მდედრ.	16	27	28	24	4
	სულ	15	30	26	25	5
დათრობა	მამრ.	19	32	26	15	4
	მდედრ.	25	35	24	13	2
	სულ	23	34	26	15	3
„პლანის“ მოწევა	მამრ.	43	28	16	7	2
	მდედრ.	57	21	15	3	1
	სულ	51	26	16	5	2
ტრანკვილიზატორების ან სედატიური საშუალებების მიღება	მამრ.	68	19	3	4	2
	მდედრ.	78	12	3	3	2
	სულ	75	16	3	4	2
ექსტაზის მიღება	მამრ.	74	16	3	2	2
	მდედრ.	87	7	1	1	1
	სულ	83	13	2	1	1
ინჰალანტების გამოყენება	მამრ.	78	13	1	1	1
	მდედრ.	87	8	1	1	1
	სულ	86	11	1	1	1

მოსწავლეებს დაესვათ კითხვა, თუ რამდენად ხშირად არიან დაკავებული შემდეგი საქმიანობებით: კომპიუტერული თამაშები; აქტიური სპორტი, ათლეტიზმი ან ვარჯიში; წიგნის კითხვა

სიამოვნებისთვის (არ იგულისხმება სასკოლო წიგნები); ღამის ცხოვრება (დისკოთეკა, კაფე, წვეულება); სხვა ჰობი (ინსტრუმენტზე დაკვრა, სიმღერა, ხატვა, წერა და სხვ.); მეგობრებთან ერთად სავაჭრო ცენტრებში სიარული, ქუჩაში, პარკებში სეირნობა გასართობად; ინტერნეტის გამოყენება თავისუფალ დროს (“ჩეთი”, მუსიკის მოსასმენად, სათამაშოდ და ა.შ.); სათამაშო აპარატები სლოტ-კლუბებში (ფულის მოსაგებ აპარატებზე თამაში). პასუხები შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა: „არასოდეს“, „წელიწადში რამდენჯერმე“, „ერთხელ ან ორჯერ თვეში“, „კვირაში ერთხელ მაინც“ და „თითქმის ყოველდღე“.

ცხრილი 43. სხვადასხვა აქტივობების სიხშირე სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

		არასოდეს	წელიწადში რამდენჯერმე	ერთხელ ან ორჯერ თვეში	კვირაში ერთხელ მაინც	თითქმის ყოველდღე
კომპიუტერული თამაშები	მამრ.	8	9	12	28	42
	მდედრ.	24	18	15	19	23
	სულ	16	13	13	24	34
აქტიური სპორტი, ათლექტიზმი ან ვარჯიში	მამრ.	6	7	10	29	47
	მდედრ.	11	14	17	34	22
	სულ	8	10	14	32	36
წიგნის კითხვა სიამოვნებისთვის	მამრ.	12	26	28	19	13
	მდედრ.	3	15	28	27	24
	სულ	8	21	29	23	19
ღამის ცხოვრება	მამრ.	34	29	19	10	4
	მდედრ.	52	27	15	3	2
	სულ	43	29	18	7	3
სხვა ჰობი (ინსტრუმენტზე დაკვრა, სიმღერა, ხატვა, წერა და სხვ.)	მამრ.	35	14	14	18	15
	მდედრ.	14	13	19	25	26
	სულ	26	14	17	22	21
მეგობრებთან ერთად სავაჭრო ცენტრებში სიარული; ქუჩაში, პარკებში სეირნობა გასართობად	მამრ.	8	10	23	33	23
	მდედრ.	7	9	30	34	17
	სულ	8	10	27	34	21
ინტერნეტის გამოყენება თავისუფალ დროს	მამრ.	8	4	5	16	65
	მდედრ.	5	4	4	14	72
	სულ	7	4	5	15	70
სათამაშო აპარატები სლოტ-კლუბებში	მამრ.	81	7	3	3	4
	მდედრ.	95	1	1	1	1
	სულ	89	5	2	2	3

მოსწავლეების უმრავლესობამ (93%) განაცხადა, რომ თავისუფალ დროს ინტერნეტით სარგებლობს (“ჩეთი”, მუსიკის მოსასმენად, სათამაშოდ და ა.შ.); შემდეგ მოდის აქტიური სპორტი, ათლექტიზმი ან

ვარჯიში (92%) და კომპიუტერული თამაშები (58%). ყველაზე იშვიათი (11%) აქტივობაა სათამაშო აპარატები სლოტ-კლუბებში (ფულის მოსაგებ აპარატებზე თამაში) და ღამის ცხოვრება (დისკოთეკა, კაფე, წვეულება და ა.შ.).

ცხრილი 44. გაკვეთილების გაცდენის სიხშირე უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებელი.

	ავადმყოფობის გამო			გაპარვის გამო (“შატალო”)			სხვა მიზეზების გამო		
	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ	მამრ.	მდედრ.	სულ
არც ერთი	42	36	41	56	63	64	31	40	37
1 დღე	20	24	23	14	15	16	24	24	25
2 დღე	17	15	17	10	8	10	18	15	17
3-4 დღე	10	15	13	8	4	6	15	13	14
5-6 დღე	3	5	4	2	1	2	5	2	4
7 დღეზე მეტი	2	2	2	3	1	2	4	2	3


უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოსწავლეების 59%-მა გაკვეთილები ერთი ან მეტი დღით გააცდინა ავადმყოფობის გამო; 36%-მა „შატალოს“ გამო; 63%-მა გაკვეთილები გააცდინა სხვა მიზეზების გამო.

შედარებითი ანალიზი - საქართველო და ESPAD საშუალო მაჩვენებლები

ამ თავში მოცემულია საქართველოს მონაცემების შედარება ESPAD-ის შეუწონავ საშუალო მაჩვენებლებთან რვა ძირითადი ინდიკატორის მიხედვით - თამბაქოს მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; ალკოჰოლის მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) მიღება სიცოცხლის, განმავლობაში; აკრძალული ნარკოტიკების (ექსტაზი, ამფეტამინი, კოკაინი, კრეკი, LSD ან სხვა ჰალუცინოგენი და გამაჰიდროქსიბუტირატი (GHB) მიღება სიცოცხლის განმავლობაში; ტრანკვილიზატორებისა და სედატიური საშუალებების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე სიცოცხლის განმავლობაში; ინჰალანტების მიღება სიცოცხლის განმავლობაში; ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების (NPS) მიღება სიცოცხლის განმავლობაში.


გავრცელების ზოგიერთი მაჩვენებლები ქართველ მოსწავლეებში უფრო მაღალია ვიდრე ESPAD საშუალო მაჩვენებლები; მაგალითად, ალკოჰოლის მძიმე ეპიზოდური მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში, სიცოცხლის განმავლობაში არალეგალური ნარკოტიკების, ინჰალანტების, ახალი ფსიქოაქტიური საშუალებების, ტრანკვილიზატორებისა და სედატიური საშუალებების მიღება ექიმის დანიშნულების გარეშე. მაჩვენებლები დაბალია შემდეგი ინდიკატორების მიხედვით - თამბაქოს მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; ალკოჰოლის მოხმარება უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში; მარიხუანის ან ჰაშიშის (კანაფი) მიღება სიცოცხლის, განმავლობაში.

ზოგადად, ქართველ მოსწავლეთა მაჩვენებლები დიდად არ განსხვავდება ESPAD საშუალო მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა 11. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები 8 ძირითადი ინდიკატორის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.

აღქმული ხელმისაწვდომობა - სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალების აღქმული ხელმისაწვდომობა შედარებით დაბალია. საქართველოს ერთერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს აკრძალული ნარკოტიკებთან დაკავშირებით.




დიაგრამა 12. ნარკოტიკული საშუალების აღქმული ხელმისაწვდომობა: იმ მოსწავლეთა მაჩვენებლები, რომლებმაც მიუთითეს „ადვილი“ ან „ძალიან ადვილი“. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.

ნარკოტიკის მოხმარების დაწყების ასაკი - ნარკოტიკის მიღების ნაადრევი დაწყების მაჩვენებლები საქართველოში შედარებით დაბალია, გარდა ალკოჰოლისა.




დიაგრამა 13. ნარკოტიკების მიღების ნაადრევი დასაწყისი: მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებლები, რომელთაც მოხმარება 13 წლის ან უმცროს ასაკში დაიწყო. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.

თამბაქოს მოხმარება - სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ ბიჭებში მაღალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები; გოგონებში იგივე მაჩვენებლები შედარებით დაბალია. გენდერული განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია (26% ბიჭებში და 9% გოგონებში).



დიაგრამა 14. თამბაქოს მოხმარება: სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.


ალკოჰოლის მოხმარება - სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ ბიჭებში და სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებელი ქართველ გოგონებში მაღალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები; უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ გოგონებში დაბალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები. თვალსაჩინოა გენდერული განსხვავება ქართველ მოსწავლეებში უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში ალკოჰოლის მიღებასთან დაკავშირებით (20%).



დიაგრამა 15. ალკოჰოლის მოხმარება: სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.


აკრძალული ნარკოტიკების მოხმარება - აკრძალული ნარკოტიკების სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარების მაჩვენებლები ქართველ მოსწავლეებში დაბალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები; საქართველოში გენდერული განსხვავება საკმაოდ მნიშვნელოვანია (24% ბიჭებში და 6% გოგონებში). ყველა ESPAD ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკი მარიხუანაა (ჰაშიში, კანაფი). საქართველოში განსაკუთრებით მაღალი გენდერული სხვაობა დაფიქსირდა (19% ბიჭებში და 3% გოგონებში). აკრძალული ნარკოტიკების სივითი და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება იდენტურია ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლებისა გარდა ექსტაზისა; ექსტაზის მოხმარების

გავრცელება 2-ჯერ აღემატება საშუალო მაჩვენებელს. გენდერული სხვაობა საქართველოში კვლავ ყველაზე მაღალია (7% ბიჭებში და 1% გოგონებში).




დიაგრამა 16. აკრძალული ნარკოტიკები: სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.

ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) მოხმარება - ინჰალანტებისა და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების (NPS) სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება ქართველ მოსწავლეებში მაღალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები. სახეზეა მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავება (10% ბიჭებში და 3% გოგონებში).




დიაგრამა 17. ინჰალანტები და ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები (NPS): სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.


ინტერნეტი, თამაში, აზარტული თამაში - ქართველ მოსწავლეებში ინტერნეტის გამოყენების სიხშირე უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში დაბალია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები. ონლაინ-თამაშები არცთუ პოპულარულია საქართველოში, მაგრამ აზარტული თამაშების გავრცელების მაჩვენებელი კი 2-ჯერ მეტია ვიდრე ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.




დიაგრამა 18. ინტერნეტით სარგებლობის დღეების საშუალო რაოდენობა და უკანასკნელ 7 დღეში 4 და მეტი დღის განმავლობაში ინტერნეტის გამოყენების გავრცელება. პროცენტული მაჩვენებლები. საქართველო და ESPAD 2015 საშუალო მაჩვენებლები.




დიაგრამა 19. თამბაქოს მოხმარება: უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.




დიაგრამა 20. ალკოჰოლის მოხმარება: სიცოცხლის და უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით (შემთხვევათა საშუალო რაოდენობა).




დიაგრამა 21. მარიხუანას (ჰაშიში, კანაფი) მოხმარება: სიცოცხლის განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.




დიაგრამა 22. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში მარიხუანას (კაშიში, კანაფი) მოხმარების სიხშირე სქესის მიხედვით (შემთხვევათა საშუალო რაოდენობა).




დიაგრამა 23. მარიხუანას (ჰაშიში, კანაფი) უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში განმავლობაში მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.



დიაგრამა 24. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.



დიაგრამა 25. უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში 4 და მეტი დღის განმავლობაში ინტერნეტ-თამაშების გავრცელება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.



დიაგრამა 26. უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში აზარტული თამაშების გავრცელება სქესის მიხედვით. პროცენტული მაჩვენებლები.

კვლევის მხარდამჭერი დაწესებულებები

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

მონაწილე სკოლების ადმინისტრაცია

მთავარი მკვლევარი: ლელა სტურუა

ექიმი, მედიცინის დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი

ექსპერტი სტატისტიკის საკითხებში: სოფიკო ალაფიძე, ექიმი

პროექტის მენეჯერი: ლელა კვაჭანტირაძე

ექსპერტი: ლევან ბარამიძე ექიმი, მედიცინის დოქტორი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაგისტრი

მკვლევარები:

მაია ბერუჩაშვილი

ნინო ბუაძე

ნინო გუგუშვილი

ნატო დვალი

ელენე ერისთავი

ნინო ზედგენიძე

თეონა თოდუა

მარინა თოფურიძე

არჩილ მჟავია

ნანა ოდიშარია

ნინო სარაშვილი

ლელა საშიკაშვილი

ლია სხირტლაძე

ალინა ფახურიძე

ნათია ქაქუთია

ანზორ ქობალაია

დალი ქობულაძე

ეკა ქორჩაშვილი

ლელა შენგელია

ლია შეყილაძე

მაკა წილოსანი

ნელი ხიზანიშვილი

ნინო ხურცია

მონაცემთა შეყვანის სპეციალისტები:

ნათელა გოგნაძე

მარიამ ელიაური

გულიკო ლომსაძე

თამარ ფილაური

ქეთი ქიტიაშვილი

სუსანა შახბუდაგიანი

ციმი ჩანადირი

ლელა ცერცვაძე

ნინო ცეცხლაძე

ლია ხუჭუა



ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი

კითხვარი დამოკიდებულების შესახებ

სანამ დაიწყებდეთ, გთხოვთ წაიკითხოთ!

ეს კითხვარი იმ საერთაშორისო კვლევის ნაწილია, რომელიც ტარდება ევროპის 35-ზე მეტ ქვეყანაში. კვლევის სახელწოდებაა ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი.

კითხვარი ანონიმურია, მასში არ ჩაიწერება არც თქვენი სახელი, არც რაიმე სხვა პერსონალური ინფორმაცია. კითხვარის შევსების დასრულების შემდეგ, გთხოვთ, მოათავსოთ იგი კონვერტში და დალუქოთ. კონვერტებს კვლევის ხელმძღვანელი შეაგროვებს.

თქვენი კლასი ამ გამოკვლევაში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით. ჩვენს ქვეყანაში კვლევა ხორციელდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ. თუ მასში წააწყდებით თქვენთვის არასასურველ, რაიმე მიზეზის გამო სადაო კითხვას, დატოვეთ უჯრა შეუვსებელი. მნიშვნელოვანია, რომ კითხვებზე პასუხები ყურადღებით, საფუძვლიანად და გულახდილად იქნას გაცემული. პასუხების წარდგენა არ მოხდება კლასების მიხედვით; გახსოვდეთ, რომ თქვენი პასუხები ანონიმურია.

თუ ვერ იპოვით თქვენთვის სასურველ ზუსტ პასუხს, აღნიშნეთ რეალობასთან ყველაზე ახლოს მდგომი. გთხოვთ, თქვენი პასუხი აღნიშნოთ სიმბოლო “X”-ით შესაბამის უჯრაში. თუ გაგიჩნდებათ შეკითხვა, გთხოვთ, ასწიოთ ხელი და კვლევის ხელმძღვანელი დაგეხმარებათ.

წინასწარ გიხდით მადლობას მონაწილეობისათვის! გთხოვთ დაიწყოთ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი



მისამართი: მ.ასათიანის ქ 9
ტელ.:(995 32) 231 17 54 ext. 122 <http://www.ncdc.ge>

პირველი კითხვები ეხება ინფორმაციას თქვენსა და თქვენი შესაძლო საქმიანობის შესახებ

01 თქვენი სქესი:

- 1 მამრობითი
2 მდედრობითი

02 თქვენი დაბადების თარიღი:

წელი 19

--	--

03 რამდენად ხშირად ხართ დაკავებული შემდეგი საქმიანობით:

ააზზე აღნიშნეთ თითო უჯრა.

თვეში კვირაში თითქმის
წელიწადში ერთხელ ერთხელ ყოველ
არასოდეს რამდენჯერმე. ან ორჯერ. მაინც დღე

	1	2	3	4	5
ა) კომპიუტერული თამაშები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ) აქტიური სპორტი, ათლეტიზმი ან ვარჯიში	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ) წიგნის კითხვა სიამოვნებისთვის (არ იგულისხმება სასკოლო წიგნები).....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ) ღამის ცხოვრება (დისკოთეკა, კაფე, "ფართი").....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ე) სხვა ჰობი (ინსტრუმენტზე დაკვრა, სიმღერა, ხატვა, წერადა სხვ.)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ვ) მეგობრებთან ერთად სავაჭრო ცენტრებში სიარული;ქუჩაში,პარკებში სეირნობა გასართობად	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ზ) ინტერნეტის გამოყენებათავისუფალ დროს	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
("ჩეთი", მუსიკის მოსასმენად, სათამაშოდ და ა.შ.)					
თ) სათამაშო აპარატები სლოტ-კლუბებში(ფულის მოსაგებ აპარატებზე თამაში)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

04 ბოლო 30 დღის განმავლობაში რამდენჯერ გააცდინეთ ერთი ან მეტი გაკვეთილი?
 ააზზე აღნიშნეთ თითო უჯრა.

	არც ერთი	1 დღე	2 დღე	3-4 დღე	5-6 დღე	7 დღეზე მეტი
ა) ავადმყოფობის გამო.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ) გაპარვის გამო ("შატალო").....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ) სხვა მიზეზების გამო.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	1	2	3	4	5	6

შემდეგი კითხვები ეხება სიგარეტს

05 როგორ ფიქრობთ, სურვილის შემთხვევაში, რამდენად რთული/ადვილი იქნებოდა თქვენთვის სიგარეტის შოვნა?

- 1 შეუძლებელი
- 2 ძალიან რთული
- 3 რთული
- 4 ადვილი
- 5 ძალიან ადვილი
- 6 არ ვიცი

06 ცხოვრების განმავლობაში რამდენჯერ მოგიწევიათ სიგარეტი?

შემთხვევების რაოდენობა

0	1-2	3-5	6-9	10-19	20-39	40 ან მეტჯერ
<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1	2	3	4	5	6	7

07 ბოლო 30 დღის განმავლობაში რამდენად ხშირად მოწიეთ სიგარეტი?

- 1 საერთოდ არ მომიწევია
- 2 1 ღერ სიგარეტზე ნაკლები კვირაში
- 3 1 ღერ სიგარეტზე ნაკლები დღეში
- 4 1-5 ღერი სიგარეტი დღეში
- 5 6-10 ღერი სიგარეტი დღეში
- 6 11-20 ღერი სიგარეტი დღეში
- 7 20 ღერ სიგარეტზე მეტი დღეში

08 რამდენი წლის იყავით, როდესაც

თითო ხაზზე აღნიშნეთ თითო უჯრა

	9 წლის ან არასდროს ნაკლების	10 წ.	11 წ.	12 წ.	13 წ.	14 წ.	15 წ.	16 წლის მეტის
ა) პირველად მოწიეთ სიგარეტი ...	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ) დაიწყეთ რეგულარული მოწევა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	1	2	3	4	5	6	7	8

09 როგორ ფიქრობთ, სურვილის შემთხვევაში, რამდენად რთული იქნებოდა თქვენთვის შემდეგი სასმელების შოვნა?

თითო ხაზზე აღნიშნეთ თითო უჯრა.

	შეუძლებელი	ძალიან რთული	რთული	ადვილი	ძალიან ადვილი	არ ვიცი
ა)ლუდი.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ)ალკოჰოპები (ალკოჰოლური კოქტეილი, რომელიც იყიდება შუშის ბოთლებში)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ)ღვინო (შამპანური, შუშუნა ღვინო და ა.შ.)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ე)სპირტიანი სასმელები(არაყი,ჭაჭა, ვისკი, კონიაკი და ა.შ.)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	1	2	3	4	5	6

10 თუ მიგიღიათ და რამდენჯერ ალკოჰოლური სასმელი?

..... ხაზზე აღნიშნეთ თითო უჯრა.

	შემთხვევების რაოდენობა						40 ან მეტი
	0	1-2	3-5	6-9	10-19	20-39	
ა)მთელი ცხოვრების განმავლობაში.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ)ბოლო 12 თვის განმავლობაში.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ)ბოლო 30 დღის განმავლობაში.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	1	2	3	4	5	6	7

11 გაიხსენეთ, ბოლო 30 დღის განმავლობაში თუ მიიღეთ და რამდენჯერ შემდეგი სასმელები?

თითო ხაზზე აღნიშნეთ თითო უჯრა.

	შემთხვევების რაოდენობა						40 ან მეტი
	0	1-2	3-5	6-9	10-19	20-39	
ა)ლუდი.....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ)ალკოჰოპები* (ალკოჰოლური კოქტეილი, რომელიც იყიდება შუშის ბოთლებში).....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ)ღვინო (შამპანური, შუშუნა ღვინო და ა.შ.)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ე)სპირტიანი სასმელები (არაყი,ჭაჭა, ვისკი, კონიაკი და ა.შ.).....	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
	1	2	3	4	5	6	7

შემდეგი კითხვები ეხება იმ დღეს, როდესაც თქვენ ბოლოს მიიღეთ ალკოჰოლური სასმელი

12 ბოლოს როდის დალიეთ ალკოჰოლური სასმელი?

- 1 არასოდეს დამიღვია ალკოჰოლური სასმელი
- 2 1-7 დღის წინ
- 3 8-14 დღის წინ
- 4 15-30 დღის წინ
- 5 1 თვის - 1 წლის წინ
- 6 1 წელზე დიდი ხნის წინ

13 შემდეგი ჩამონათვალიდან რომელი ალკოჰოლური სასმელი მიიღეთ ბოლოს?

სასმელს ვგვლა ის სასმელი, რომელიც დალიეთ.

- 1 არასოდეს დამიღევია ალკოჰოლური სასმელი
- 1 ლუდი
- 1 ალკოჰოლები (ალკოჰოლური კოქტეილი, რომელიც იყიდება შუშის ბოთლებში)
- 1 ღვინო (შამპანური, შუშხუნა ღვინო და ა.შ.)
- 1 სპირტიანი სასმელები (არაყი, ჭაჭა, ვისკი, კონიაკი და ა.შ.)

13ა თუ ბოლოსდალიეთ ლუდი, აღნიშნეთ, რა რაოდენობით მიიღეთ იგი:

- 1 არასოდეს დამიღევია ლუდი
- 2 ბოლო დაღევისას არ მიმიღია ლუდი
- 3 <50 მლ (1 ბოკალი)
- 4 50–100 მლ (1-2 ბოკალი)
- 5 101–200 მლ (3-4 ბოკალი)
- 6 >200 მლ (4 ბოკალზე მეტი)

13ბ თუ ბოლოს დალიეთ ღვინო (შამპანური) აღნიშნეთ, რა რაოდენობით მიიღეთ იგი:

- 1 არასოდეს დამიღევია ღვინო
- 2 ბოლო დაღევისას არ მიმიღია ღვინო
- 3 <20 მლ (2 ჭიქაზე ნაკლები)
- 4 20–40 მლ (2-3 ჭიქა)
- 5 41–74 მლ (4-6 ჭიქა)
- 6 >74 მლ (6 ჭიქაზე მეტი)

14 გაიხსენეთ ბოლო 30 დღე. რამდენჯერ დალიეთ ხუთი ან მეტი ულუფა ერთ ჯერზე?

(1 ულუფა – 1 ბოკალი/ბოთლი/ქილალუდი - 500 მლ, 1 ჭიქა შუმხუნა ღვინო - 125 მლ, 1 ჭიქაღვინო- 125 მლ, 1 ჭიქასპირტიანსასმელი- 50 მლან 1 ჭიქაკოქტილი-100 მლ)

- 1 არცერთხელ
- 2 ერთხელ
- 3 2-ჯერ
- 4 3-5-ჯერ
- 5 6-9-ჯერ
- 6 10 ანმეტჯერ

შემდეგი კითხვები ასევე ეხება ალკოჰოლს

15 გკონიათ ინტოქსიკაცია (მაგ., თავბრუსხვევა და ბარბაცი სიარულის დროს,მეტყველების გართულება, გულისრევა ან ფაქტების დავიწყების მომენტი) სასმელის მიღების შემდეგ?

